



მეცხეთის უნივერსიტეტი

№7-8 (290) სამტემაგარი-ოქტომბერი, 2024 წელი

გამოცემის 1990 წლის დეკემბრიდან



უნივერსიტეტი ულოცავს პროფესორ მერაბ ბერიძეს იუბილეს!

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის ღვაწლი და დამსახურება განუზომელია არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ სამცხე-ჯავახეთის უახლესი ისტორიისთვის, შესაბამისად, ქვეყნისთვისაც.

სამცხე-ჯავახეთში საუნივერსიტეტო განათლების ფუძემდებელმა ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს წლებში შეძლო, რეალობად ექცია უმნიშვნელოვანესი იდეა – გაგრძელებინა ტაო-კლარჯეთის უძველესი საგანმანათლებლო კერების ისტორია, სამხრეთ კავკასიაში უპირველესი უნივერსიტეტის – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრადიციები.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ომი, რომელსაც შედეგად ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა, საოქალაქო დაპირისპირებით გამოწვეული სოციალური კრიზისი გასდევს ფონად თბილისის გარეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რვა ფილიალის გახსნას. გასაგებია ის ობიექტური მიზეზები, რომელთა გამო რვა ფილიალიდან შეიძლება ვერ გააგრძელა არსებობა. იმავე ბედს გაიზიარებდა თსუ-ის ახალციხის ფილიალი, რომ არა მისი დირექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე.

შესაძლოა პიროვნებები არ ქმნიან ისტორიას, მაგრამ მერაბ ბერიძის ცხოვრების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, საქართველოს, კონკრეტულად კი სამცხე-ჯავახეთის განვითარების გადამწყვეტ ეტაპზე სამოღვაწეო ასპარეზზე მისი გამოსვლა ღრმა კვალად დააჩნდა თანამედროვეობას და დაინერა გიონის აღმავლობის ისტორია!

უამრავი სირთულის მიუხედავად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ბატონ მერაბს რომ სჩვევია, საქმისადმი სწორედ ისეთი შესაშური ერთგულებით, მოთმინებით, გააზრებულად და თანმიმდევრულად ქმნიდა თანამოაზრეებთან ერთად ძლიერ საგანმანათლებლო სივრცეს, ჯერ ახალციხეში თსუ-ის ახალციხის ფილიალის, შემდეგ თსუ-ის ჯავახეთის ფილიალის სახით. მალე იგრძნო მხარემ, რომ სხვადასხვა სფეროში სპეციალისტების სამჭედლო კი არ ჩამოყალიბდა მხოლოდ, არამედ ახალგაზრდა ოჯახების შექმნით, საკუთარ ქალაქებსა და სოფლებში მათი დარჩენით, გაჩნდა სიცოცხლისა და განვითარების განსხვავებული პერსპექტივა. არ არსებობს საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი არცერთი სფერო, რომელიც დარჩა პროფესორ მერაბ ბერიძის ფიქრისა და ზრუნვის მიღმა.

უკვე ისტორიას პროფესიონალებსა და სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა ეკლესია-მონასტრის ალდგენაში მონაწილეობა, საკუთარი ინიციატივით და სახსრებით აღმართული ქვა-ჯვრები და ტაძრებისთვის შეწირული ნაჭედი კარი.

ცხოვრებისეულ კრეფოსა და იდეალებს ზუსტად შეესაბამება მისი კვლევითი ინტერესები. სფერო, რომელშიც სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა პროფესორი მერაბ ბერიძე, მის ცხოვრებასავით კომპლექსური, მრავალმხრივი და ღრმაა. მეცნიერმა თაობები გაზარდა და დაინტერესა სამცხე-ჯავახეთის ქალაქებისა თუ სოფლების, დასახლებების, უბნების, მთებისა თუ მდინარეების, მინის თითო-

ეული გოჯის სახელწოდებების, ეტიმოლოგიის, ისტორიის კვლევით. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნა საქართველოში ონომასტიკური კვლევების ერთ-ერთი უძლიერესი სამეცნიერო სკოლა. 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა მხოლოდ 2024 წელს ორი ახალი მონოგრაფია გამოსცა, ორივე სამაგიდე წიგნი თანამედროვეობისთვის და საჭირო მომავალი თაობებისთვის.

დღესაც გადამდებია მისი სიყვარული საქმისადმი, თავდადება მიზნისკენ მიმავალ გზაზე, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი. უნივერსიტეტში სტუდენტებს, პროფესორებს, თანამშრომლებს – ყველას თავისი „ბატონი მერაბი“ ჰყავს, ზოგის მასწავლებელი, ზოგის მეგობარი, ზოგის მრჩეველი, ზოგის თანამოაზრე, ზოგის სტიმული და მაგალითი...

მერაბ ბერიძის პოეტური კრებულები შეფარვით იტევს დაუმსახურებელი ტკივილით გამოწვეულ სევდას, ბევრი გადატანილი სირთულის ემოციას, რომელიც საბოლოოდ მაინც რწმუნად და იმედად ქცეულა. ბატონი მერაბი საზრდოობს შესანიშნავი, ჭეშმარიტად ქართული და ღირსეული ოჯახის სიყვარულით, რაც მის დიდ ადამიანობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.


სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს პროფესორ მერაბ ბერიძეს იუბილეს, ქვეყანას სჭირდებოდა მისი ღირსეულად გავლილი 75 წელი! ვუსურვებთ ჩვეულ მხნეობას, რადგან კიდევ ბევრი თაობა ელოდება მასთან შეხვედრას!

მასპ ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი



უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი იზიივს

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 16 სექტემბერს ახალი სასწავლო წლის დაწყება იზიივს. ტრადიციულად, უნივერსიტეტს უამრავი სტუმარი ეწვია. ეს დღე განსაკუთრებული იყო პირველკურსელთათვის. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ იზრუნა, 16 სექტემბერი მათთვის დაუფინყარი დღეების რიცხვს შემატებოდა. იყო მრავალი მილოცვა, მრავალი კეთილი სურვილი. დაჯილდოვდნენ ის სტუდენტები, რომლებმაც მაღალი აკადემიური მოსწრების გამო სხვადასხვა სახის სტიპენდიები დაიმსახურეს. ხაზგასმით აღინიშნა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გული-



კო ბექაურის დამსახურება და მას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელი გადაეცა.

გაგრძელება მე-3 გვ.

„ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები“ და „21-ე საუკუნის ქართული მწერლობა“

ღვანდომოსილ
პროფესორთა
საიუბილეო
საღამო



გვ.2



გვ.6

სამეცნიერო
ფესტივალი –
ახალგაზრდაში
მეცნიერების
პოპულარიზაციისათვის

თამაზ ბეჟაიას
ფონდის
წარმომადგენლები
უნივერსიტეტში

გვ.7



„არ
არსებოვს
დიდი
და
პატარა
როლები“

გვ.12

იაგაყა, მესხეთო!

გვ.8

ჩვენ, გიუმარი და ის, რაც
არქეოლოგიაში მოგვითხრო
გვ.9

ისინი გაჩერებას
არ აპირებენ!...

გვ.10

სიცოცხლის
გულითადი მეგობარი
„ახლა სწორად იმ ეტაპზე
ვარ, როცა საუთარი
ქუდი მახურავს“
გვ.11



31 ოქტომბრის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პროფესორებს – ნესტან სულავეასა და ვახტანგ ინაურს საიუბილეო საღამო მიუძღვნა. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაბადებულ იდეას პროფესორმა ასმათ ევსაიამ შეასხა ფრთები.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეკრებილმა საზოგადოებამ – პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, მიმოიხილეს ქალბატონი ნესტანისა და ბატონი ვახტანგის სამეცნიერო მოღვაწეობა, ხაზი გაუსვეს მათ გამოჩენილ ადამიანურ, მეგობრულ თვისებებს და ერთხმად აღნიშნეს, რომ ისინი არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არამედ მთელი საქართველოს კუთვნილი მეცნიერები არიან.

საღამო გახსნა ორგანიზატორმა, ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ასმათ ევსაიამ: **დღეს ჩვენ ვეფერებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლეგენდებს, ძვირფას ადამიანებს – ლიტერატურათმცოდნეს, ფილოლოგს, მკვლევარს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ნესტან სულავეას, ასევე, ლიტერატურათმცოდნეს, პროფესორ ვახტანგ ინაურს. მომეცა საშუალება, მოვფერებოდი ამ ადამიანებს. მქონდა პატივი, ისინი გამეცნო იმ პერიოდში, როდესაც შეიქმნა უნივერსიტეტი და გმირობის ტოლფასი იყო მათი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩამოსვლა. ჩვენს პროფესორებს ვუსურვებ ჯანმრთელობას, რათა გვყავდნენ დიდხანს ჩვენი უნივერსიტეტი და ქვეყნის სასახელოდ.**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მაკა ბერიძემ დამსწრე საზოგადოებას ქალბატონი ნესტანისა და ბატონი ვახტანგის სამეცნიერო საქმიანობა გააცნო და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათი მოღვაწეობის შესახებ მოუთხრო. აღნიშნა, რომ ქალბატონი ნესტანის ურთიერთობა სამცხე-ჯავახეთის

თის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჯერ კიდევ თსუ-ს მესხეთის ფილიალში მისაღები გამოცდების კომისიის წევრობიდან იწყება. ოფიციალურად კი პროფესორი უნივერსიტეტში 2007 წლიდან მუშაობს. რექტორმა აღნიშნა, რომ პროფესორ ნესტან სულავეას სამეცნიერო კვლევის სფერო მრავალფეროვანია. მისი თითოეული სიტყვა, თითოეული წიგნი, მისი თითოეული წარმატება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებად აღიქმება და რომ ქალბატონი ნესტანის მეცნიერულ სიტყვას სრულად შეიძლება ენდო. მისი თითოეული მოხსენება ობიექტურად გახლავთ წარმოდგენილი. 2017 წელს ქალბატონი ნესტანი დაჯილდოვდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით.

უსვა პროფესორ ნესტან სულავეას პედაგოგიურ მოღვაწეობას. ისაუბრა მისი ხელმძღვანელობით დაცულ სადოქტორო, სამაგისტრო თუ საბაკალავრო ნაშრომების შესახებ: **დიდი ბედნიერებაა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გვყავს პროფესორი ნესტან სულავეა. ქედს ვიხრით მისი სამეცნიერო მოღვაწეობის წინაშე. შეგვაძლებინოს და ისეთი მკითხველები ვყოფილიყავით ქალბატონი ნესტანის სამეცნიერო ნაშრომების, როგორც იმსახურებს მისი კალმით მოხაზული თითოეული სიტყვა.**



„ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი“ და „21-ე საუკუნის ქართული მწერლობა“ ღვაწლმოსილ პროფესორთა საიუბილეო საღამო



რექტორმა საზოგადოებას შეახსენა, რომ 2016 წელს პროფესორი ნესტან სულავეა სამხარეო ადმინისტრაციისა და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ კონკურსის გამარჯვებული გახდა ნომინაციაში – რუსთველოლოგია. სამეცნიერო ნაშრომის სათაური გახლდათ **„ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები“**: სულ მაქვს განცდა, პერსონაჟებს კი არ იკვლევს პროფესორი ნესტან სულავეა, ასე მგონია, პერსონაჟები თავად გადაუშლიან ხოლმე გულს და ძალიან ღრმად დაფარულ საიდუმლოებებს გაუმხელენ კვლევისას ჩვენს მეცნიერს.

ქალბატონმა მაკამ ხაზი გა-

ქალბატონმა მაკამ ვრცლად ისაუბრა პროფესორ ვახტანგ ინაურის ღვაწლისა და დამსახურების შესახებ: **დღეს, როდესაც შევხვდებით ხოლმე ბატონ ვახტანგ ინაურს, თვალწინ მიცოცხლდება აუდიტორია, მისი ლექციები. ბატონი ვახტანგი სტუდენტებისთვის თან კრიტიკოსი იყო, რომელიც მაშინ ტაბუდადებულ თემებზე გვესაუბრებოდა, თან ლიტერატორი, რომელიც სრულად წარმოაჩენდა ლიტერატურულ პროცესებს, თან პედაგოგი იყო, ბოლომდე რომ გვაგრძნობინებდა უახლესი ლიტერატურის ისტორიას და თან პოეტიც იყო. მაშინ, რთულ პერიოდში, ჩვენ გვიხაროდა ლექციები, ლიტერატურული „ხუთშაბათობები“, რომლის ხელმძღვანელი და არა მხოლოდ ხელმძღვანელი, ამ სიხარულის თანამონაწილე, ამ სულის შემქმნელი იყო პროფესორი ვახტანგ ინაური.**

ბატონი ვახტანგის საქმიანობა მრავალმხრივია. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფეხისშემოდგმისთანავე იგი იქცა მთელი უნივერსიტეტის ნაწილად. შემთხ-

ვევითი არ არის, რომ დღეს მას ვხვდებით და ვეცდებით, ვუთხრათ მადლობა.

რექტორის თქმით, ბატონი ვახტანგის ნაშრომები, სტატიები ლიტერატურის ისტორიაა. განსაკუთრებით გამოყო პროფესორის ბოლო ნაშრომები უახლესი ლიტერატურის ისტორიაზე, რომელიც არის თანმიმდევრული, ლოგიკური წინა პერიოდის ლიტერატურასთან და აღნიშნა, რომ ბატონ ვახტანგს ყველა პერიოდის ლიტერატურაში ღირსეული სიტყვა აქვს ნათქვამი: **უმნიშვნელოვანესია ბატონი ვახტანგის საქმიანობა ჩვენს უნივერსიტეტში. მისთვის არ არსებობს სიტყვა – „არ შემიძლია“. საკითხისადმი მისი დამოკიდებულება იმგვარია, როგორც ქართულ პოეზიას ეკადრება. ბატონო ვახტანგ, დიდი მადლობა პერსონალურად ჩემგან,**

მეოთხე-მეთერთმეტე საუკუნეები“. ჩვენ, უფროსი თაობა, ვინც თსუ-ში ვსწავლობდით, კორნელი კეკელიძის წიგნებზე ვიყავით გაზრდილი და ამ წიგნებს ეწერა – „მეხუთე-მეთერთმეტე საუკუნეები, ქართული ლიტერატურის ისტორია“. ქალბატონი ნესტანის წიგნი იწყება მე-4 საუკუნიდან. ეს არც ახალი თეორიაა, არც ახალ აღმოჩენებზე დამოკიდებული, არამედ, ეს არის ისევ ის ლიტერატურა, ისევ ჩვენი ქვეყნის ჰაგიოგრაფია, ოღონდ მეთოდი და ანალიზი სხვაგვარია. ვახტანგმა „21-ე საუკუნის ქართული მწერლობა“ გამოსცა. ბატონი ვახტანგის წიგნში თეორიების ჭიდილია. მიხარია, რომ ამ შრომაში კარგად არის წარმოდგენილი ჩვენი მხარე. დღეს ჩვენ გვაქვს შეხვედრა იმ ადამიანებთან, ვისაც თანამედროვე ცხოვრების მაჯაზე უდევს ხელი და განსაზღვრავს ბევრ რამეს ლიტერატურულ ცხოვრებაში. ვულოცავ მათ იუბილეს და ვუსურვებ წარმატებებს. – აღნიშნა ბატონმა მე-

რამმა. 8 წლის განმავლობაში, ქალბატონი ნესტანისა და ბატონი ვახტანგის მხრიდან, არ არსებობდა ლექციის გაცდენა. ეს მიუთითებს პიროვნების პასუხისმგებლობაზე და ეს ყველაზე მაღალი ადამიანური თვისებაა. ქალბატონი ნესტან, ყოველთვის იყავით ჩემთვის ღირსეული პროფესორის მაგალითი. თქვენ ღმერთმა მოგცათ ეს უნარი და თქვენ ისე განავითარეთ, რომ დღეს, ჩვენი ქვეყნის სასახელო მეცნიერი ბრძანდებით. ბატონო ვახტანგ, დიდი მადლობა. თქვენ შეძელით, მაღალი ღირებულებებით, რომ ყველას პოზიტიურად გვამახსოვრებთ თავს. – აღნიშნა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გულიკო ბეჟაურმა.

ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტმა რიმა სუღაძემ მადლიერება გამოხატა იუბილარი პროფესორების მიმართ: **პირველ კურსზე, პირველი ლექცია ქალბატონი ნესტანის გეგონდა. ძალიან ბევრი რამ წამოვიღე ამ ლექციიდანვე. დღეს, როდესაც ქალბატონ ნესტანს შევხვდებით, მახსენდება ის ტკბილი სტუდენტობა. მადლობა მას, რომ ჩემს ცხოვრებაში არსებობს. მესამე კურსზე ყოფნის დროს შევხვდი ბატონ ვახტანგს. როდესაც მასზე ვსაუბრობთ, მაშინვე გვახსენდება სიყვარული. როდესაც ბატონი ვახტანგის ლექციიდან გამოვდივარ, ვხვდები, რომ რაღაც ფიქრი მაწუხებს, რაღაცის ძიებაში ვარ. აღვნიშნავ ბატონი ვახტანგის საოცარ პოეზიაზეც.**

კიდევ ბევრი სტუდენტი მოეფერა პროფესორებს. წაიკითხეს ბატონი ვახტანგის ავტობიოგრაფიის შექმნილი ლექსები. ასევე, ქალბატონი ნესტანის კვლევის საგნიდან – „ვეფხისტყაოსნიდან“ მათთვის საყვარელი სტროფები. ქალბატონი ნესტანისა და ბატონი ვახტანგის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ აღნიშნეს სხვა სპეციალობის სტუდენტებმაც, რომლებმაც ისურვეს იუბილარი





პროფესორების ლექციებზე დასწრება. სტუდენტების ასეთ სურვილზე, ასევე ქალბატონ ნესტანისა და ბატონი ვახტანგის მოღვაწეობაზე, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ლალი ბერიძემ** შემდეგი აღნიშნა: **მინდა ვუთხრა სტუდენტებს, რომ ჩვენ დავინყებთ საჯარო ლექციების კურსს და მათ ექნებათ შესაძლებლობა, დაესწრნენ ჩვენი დიდი პროფესორების ლექციებს. რაც შეეხება ჩვენს იუბილარებს, მინდა, როგორც სტუდენტის დედამ, ვუთხრა მათ მადლობა, რომ ასე შეაყვარეს ლიტერატურა ჩემს ქალიშვილს. მინდა აღვნიშნო თუ როგორი მეგობრობა იცინ ამ ადამიანებმა. ბატონო ვახტანგ, კარგი იქნება, აღდგეს „ხუთშაბათობები“.** ჩავატაროთ პოეზიის საღამოები. მადლობა ყველას ასეთი კარგი ღონისძიების მოწყობისთვის.

ღონისძიება შემდეგ ინტერვიუს ფორმატში წარმართა. პროფესორებმა – ნესტან სულავამ და ვახტანგ ინაურმა რამდენიმე კითხვას გასცეს პასუხი.

კითხვაზე, გაეხსენებინათ უნივერსიტეტში მოსვლის პირველი დღე, მათ ასე უპასუხეს.

ნესტან სულავა: მაშინ ფილიალი იყო, 1990 წლის აგვისტო. პირველი მისაღები გამოცდებისთვის თბილისიდან ჩამოვიდა საგანოცდო კომისია, რომლის წევრიც გახლდით. პროფესორად – 2007 წლიდან ვმუშაობ. მაშინ, დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჩამოყალიბების სათავეებთან რომ ვიდექი, ეს მეამაყება. ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებმა მაშინ მოიპოვა აკრედიტაცია, რაც მეამაყება და ამ ფაქტმა უნივერსიტეტს სტატუსი აუმაღლა.

ვახტანგ ინაური: მე უნივერსიტეტში ჩამოვედი 1994 წელს, სექტემბერში. მოვედი დიდი სამშაბათი და შაბათს ვბრუნდებოდით უკან. ჩამოვედი თუ არა, ოთხშაბათს შევედი ლექციაზე, მეოთხეკურსელებთან. ეს იყო კარგი პერიოდი. იყო „ხუთშაბათობები“ და

ეს დღე იყო დიდი ზეიმი. ბევრი შემოქმედი სტუდენტი გვყავდა. სერიოზული პოეზიის საღამოები გვქონდა. შალვა კელოშვილის ლექსები განვიხილეთ პირველ ხუთშაბათობაზე. კარგი დრო იყო.

კითხვაზე, უსწავლიათ თუ არა მათაც რამე სტუდენტებისგან, პროფესორებმა შემდეგი უპასუხეს.

ნესტან სულავა: სემინარის დროს, როდესაც კომენტარები კეთდება სტუდენტის მხრიდან, ეს ლექტორს ეხმარება შემდგომ მუშაობასა და საკითხის დამუშავებაში. მე ეს დახმარება მიგრძენია ხშირად.

ვახტანგ ინაური: ჩემი მუშაობა, ჩემი კვლევა წარმართულია სტუდენტთა მოთხოვნილების მიხედვით. ჩემი ერთადერთი მოთხოვნა სტუდენტებთან არის – იცოდნენ ტექსტი ზედმიწევნით. საინტერესოა სტუდენტის მიერ გაკეთებული ანალიზი. სწორედ ეს ანალიზი მაძლევს მიმართულებას, რა არის სახელმძღვანელოში შესაცვლელი, რა სიახლეა შესატანი.

კითხვაზე, არის თუ არა ფილოლოგობა მათი ბავშვობის-დროინდელი ოცნების პროფესია, პასუხი ასეთი იყო.

ნესტან სულავა: სკოლაში, ფილოლოგობაზე ბოლო კლასამდე არ მიფიქრია. მინდოდა არქიტექტურულზე ჩამეხატებინა. ბოლო ორ წელს გადაწყვიტე ეს პროფესია. დღეს ვფიქრობ, რომ შესაძლებელია კარგი არქიტექტორი ვყოფილიყავი, მაგრამ ვფიქრობ, ფილოლოგობა უფრო უკეთესი აღმოჩნდა. მგონია, რომ რაღაცა გავაკეთე ქართულ ფილოლოგიაში და მგონია, მოვხვდი იმ ადგილას, სადაც უნდა ვყოფილიყავი.

ვახტანგ ინაური: მე კარგად ვგრძნობ თავს ამ მიმართულებით. დიდი ზეიმი იყო მაშინ, ფილოლოგიაზე რომ ჩავაბარე. იყო დიდი კონკურსი. მეშვიდე, მერვე კლასიდან ვფიქრობდი ამ სპეციალობაზე. დედა გვიკითხავდა ჯავახიშვილს, კარგად ვიცოდი ილია ჭავჭავაძე, ზეპირად ვიცოდი არსენა მარაბდელი... მამა მელექსე იყო და მანებიერებდა ლექსებით, პროზისა და პოეზიის ნაკადი უკვე იყო ჩემში. ვწერდი კიდევაც ლექსებს. მხოლოდ ფილოლოგობა იყო ჩემი მიზანი.

ღონისძიების დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ პროფესორებს – ნესტან სულავასა და ვახტანგ ინაურს მადლობის სიტყვები გადასცა. საზეიმო ვითარებაში გაიჭრა ტორტი. ჯანმრთელობა უსურვეს პროფესორებს, რათა მათ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთონ ქვეყნისათვის.

ლიკა ზაზაშვილი



უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი იზიარებს

პირველი გვერდიდან

ღონისძიება გახსნა და სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ**. იგი მიესალმა მომზადებულ სტუმრებს და დიდი პატივისცემა დაუდასტურა სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ახალციხის მერიის მუნიციპალიტეტის, ასევე, საკრებულოს წარმომადგენლებს, უნივერსიტეტის პროფესორებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

ქალბატონმა მაკამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა გასული სასწავლო წლის მოკლე ანგარიში საერთაშორისო ურთიერთობების, გაცვლითი პროგრამების, სამეცნიერო გრანტების, სტუდენტური ბანაკების, სტიპენდიებისა და სხვა საკითხების შესახებ: **აბიტურიენტები ყველაზე ხშირად გვეკითხებიან, რატომ უნდა ჩააბარონ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს არის საერთაშორისო ურთიერთობები, გაცვლითი პროგრამები საქართველოს ფარგლებს გარეთ. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტმა მოიპოვა ორი დიდი სამეცნიერო გრანტი ეროვნული დაფინანსებით. ასევე, უნივერსიტეტი ოთხ დიდ მრავალწლიან საერთაშორისო პროექტში მიიღებს მონაწილეობას. ამ ყველაფრის მიღმა ჩვენი სტუდენტების შესაძლებლობები, უნივერსიტეტის განვითარება, ჩვენი პროფესორის მობილობები, ახალი პროგრამები, ახალი პატრნიორები, ახალი იმედებია. წარმატებული იყო შარშანდელი წელი სტუდენტური ბანაკების კუთხით. აფხაზურმა ცენტრმა, რომელიც უნიკალურია საქართველოში, საოცარი შეხვედრები გამართეს ბათუმში და მას მოჰყვა ის, რომ აგვისტოში უნივერსიტეტმა 20 აფხაზ სტუდენტს უმასპინძლა.**

რექტორმა ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო სისტემის განვითარებაში სახელმწიფოს როლზე. რომ არა სახელმწიფოს მხარდაჭერა, ძნელი იქნებოდა სტუდენტებისთვის იმ შესაძლებლობების მიცემა, რომელიც დღეს ამ უნივერსიტეტში რეალობაა. გაორმაგდა სახელმწიფო სტიპენდია და 150 ლარის ნაცვლად 300 ლარს მიიღებენ სტუდენტები. ასევე, გაორმაგდა სომხურსკოლადამთავრებულ სტუდენტთა რაოდენობა, ვინც დაფინანსდებოდა 100 პროცენტითა და გრანტით. მნიშვნელოვანია, რომ ახალქალაქში სახელმწიფოს დაფინანსებით, სამ მილიონ ნახევარამდე ლარით დაფინანსდა მეოთხე კორპუსის რეაბილიტაცია, სადაც პროფესიულ განათლებას დაეუფლებიან სომხური სტუდენტები.

რექტორმა ისაუბრა სპეციალობების მიხედვით სტუდენტთა ჩარიცხული რაოდენობის შესახებ. ასევე, ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტების მხრიდან თანადგომას ახალგაზრდებისათვის სტიპენდიების გაცემასთან დაკავშირებით; შეეხო იმ ღონისძიებების თემას, რომლებსაც უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს. სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს მხარის რწმუნებულმა – გუბერნატორმა ბესიკ ამირანაშვილმა.



ვილმა, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა **ირაკლი ლაზარაშვილმა**, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა **გიორგი კურტანიძემ**, რომელმაც თავის მხრივ სიტყვა მისაღები-სათვის სტუდენტებს გადასცა.

ბესიკ ამირანაშვილი: მინდა მივმართო ჩვენს სტუდენტებს – მათ კარგი არჩევანი გააკეთეს. ამ უნივერსიტეტში სწავლით, აძლიერებენ ჩვენს კუთხეს, ჩვენს ქვეყანას. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის გამორჩეული. მინდა გისურვებ, რომ თითოეული დღე, აქ გატარებული, გქონდეთ ბედნიერი. დაიხარჯეთ ბოლომდე, მიიღეთ კარგი განათლება, რომელიც გამოადგება ჩვენს ქვეყანას.

ირაკლი ლაზარაშვილი: განსაკუთრებით მივესალმები პირველკურსელებს. თქვენ ხართ ჩვენი მუნიციპალიტეტის, ქვეყნის იმედი. ჩვენს მუნიციპალიტეტს აქვს პროგრამა იმისთვის, რომ უნივერსიტეტი მეტად გაძლიერდეს, მივცეთ ახალგაზრდებს სტიპენდიები. ხორციელდება არაერთი ერთობლივი პროექტი. გისურვებთ წარმატებებს.

გიორგი კურტანიძე: პირველკურსელებო, გილოცავთ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას. მინდა, რომ თქვენი სტუდენტობა იყოს ისეთი, როგორც თქვენ თავად წარმოგიდგენიათ. სტუდენტური თვითმმართველობა ძალ-ღონეს არ დავიშურებთ და გარან-

ტიას გაძლევთ, რომ გქონდეთ ისეთი სტუდენტობა, როგორცაც იმსახურებთ. მადლობა მინდა გითხრა, რომ აირჩიეთ ჩვენი უნივერსიტეტი.

თავის მხრივ პირველკურსელებმაც გამოხატეს მადლიერება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ დასამახსოვრებელი დახვედრისთვის.

ინგლისური ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტი **ანანო გუბელაძე:** ამაყად ვგრძნობ თავს, რადგან ჩემი მიზანი რეალობად ვაქციე. დღეს აქ ვდგავარ და პირველ ნაბიჯს ვდგამ ახალი გამოწვევებისკენ. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ პროფესიას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავეუფლებოდი. უდიდესია ამ უნივერსიტეტის წვლილი რეგიონის ახალგაზრდების განვითარების სფეროში. ვეცდები, რომ ამ გუნდთან ერთად საინტერესო ცხოვრება განვვლო.

ინგლისური ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტი **ნინო ყურმაშვილი:** მინდა მადლობა გადავხადოთ, რომ მაქვს პატივი, ვიდეგე აქ და ჩემი ემოციები გაგიზიაროთ. ჩემი აზრით, ჩვენი უნივერსიტეტის უმთავრესი პრიორიტეტია ის აკადემიური გუნდი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, დაგვეხმარება, მივიღოთ მაღალკვალიფიციური განათლება. ასევე, უნივერსიტეტი გვთავაზობს ყველა პირობას, რომელიც აუცილებელია ჩვენი სწავლისათვის. დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე.

საჯარო მმართველობის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტმა **ნინო ზენაშვილმა** გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის შთაბეჭდილებებზე ისაუბრა: ჩვენი უნივერსიტეტის წყალობით, მივიღე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იმართებოდა ორთვიანი პროგრამა თურქეთში, ქალაქ თოქათში, რომელიც მოიცავდა მოხალისეობრივ პროგრამას. ასევე, შემეძლებოდა მესწავლა თურქეთის უნივერსიტეტში. დავეუფლე თურქულ ენას და გავხდი გაზიარებულმა უნივერსიტეტის სტუდენტი. იქ გავიარე თურქული ენის კურსი და, ამავდროულად, მენეჯმენტის კურსი ინგლისურ ენაზე. მადლობა უნივერსიტეტს რომ მომცა მანძი, მიმეღო განვითარება ამ კუთხით. პირველკურსელებო, მინდა გირჩიოდ, რომ იყოთ აქტიურები. გაქვთ შესაძლებლობა, განვითარდეთ და ამაში ხელს ჩვენი უნივერსიტეტი შეგინწყობთ.

გაგრძელება მე-4 გვ.



უნივერსიტეტი ახალი სასწავლო წელი იზაიებს

მე-3 გვერდიდან

ლონისძიებზე რექტორმა ისაუბრა მარცხ ნათენადის სახელობის სტიპენდიასა და პრემიაზე. ამჯერად პრემია გადაეცა სომხურსკოლადამთავრებულ პირველკურსელს – მარიამ კარაკაშიანს.

ნერილის დასაწყისში აღენიშნეთ, რომ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ გულიკო ბექაურს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელი გადაეცა. უნივერსიტეტი დგას მადლიერებაზე. მინდა ქალბატონ გულიკოს საჯაროდ ვუთხრა მადლობა. უნივერსიტეტი 34 წლის გახლავთ და მადლობა მას ამ 34 წლიანი ერთგულებისთვის. მინდა, მადლობა ვუთხრა ღირსეული მსახურებისთვის თაობების მიმართ, მაღალი პროფესიონალიზმისთვის, შეუდარებელი პიროვნული ღირსებებისთვის. – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ.

თავის მხრივ გულიკო ბექაურმა მადლობა მოახსენა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მისი ასეთი დაფასებისთვის: 34 წელი არ არის ცოტა დრო იმისთვის, რომ ადამიანმა შესაძლებლობების რეალიზება მოახდინოს. რამდენიმე წლის წინ წამოვედი ჩემს რეგიონში, მესხეთში და მართალი ვყოფილვარ. ჩემი საკუთარი პიროვნება ჩემს საქმეზე წინ არ დამიყენებია და დღესაც ასეთი სულისკვეთებით ვზრდი ჩემს სტუდენტებს. ეს გვაძლევს სიყვარულის, ერთგულების უნარს, რაც ყველაზე მაღალი ადამიანური თვისებებია. დიდი სიყვარულით და პატივისცემით მივსალმები პირველკურსელებს. მადლობა მათ, რომ ეს უნივერსიტეტი აირჩიეს.

16 სექტემბრიდან, ერთი კვირის განმავლობაში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე კორპუსში, სპეციალურად პირველკურსელთათვის, საორიენტაციო კვირეული დღეები გაიმართა. კვირეულის

ფარგლებში სტუდენტებმა საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. სამივე კორპუსში, ოთხივე ფაკულტეტის სტუდენტებს, „რექტორის საათის“ ფარგლებში, რექტორი შეხვდა. პირველკურსელები შეხვდნენ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს. სტუდენტებმა ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან მიიღეს ინფორმაცია მათ უფლებებზე და მოვალეობებზე, გაცვლით პროგრამებზე, სასწავლო პლატფორმა Moodle-ის შესახებ, გაეცნენ აკადემიური რეგისტრაციის წესებს, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებსა და ბიბლიოთეკის მუშაობის წესებს. სტუდენტებისათვის მოხდა უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სტუდენტური პორტალის წარდგენა. პირველკურსელებს ჰქონდათ შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზურ ცენტრთან „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“, სტუდენტურ თვითმმართველობასთან; გაეცნენ რეგულაციებს შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების შესახებ, მიიღეს აგრეთვე ინფორმაცია სხვადასხვა სტუდენტურ სერვისებზე.

საორიენტაციო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება იყო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მესხეთის უნივერსიტეტის“ მასტერკლასი ცეკვაში, ბოლოს – ახალციხის ციხეზე, პირველკურსელებისადმი მიძღვნილი საღამო (Welcome ფართი).

ახალქალაქში მდებარე მესამე სასწავლო კორპუსში ახალი სასწავლო წლის დაწყება სტუდენტებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მაკა ბერიძემ 17 სექტემბერს მიულოცა. მესამე სასწავლო კორპუსშიც პირველკურსელთათვის საორიენტაციო კვირეული გაიმართა.

ლიკა ზაზაშვილი



● სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, მიმდინარე სასწავლო წლიდან, დაემატა სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების მოდული, რომელიც ხორციელდება პროექტის „სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება დაწყებითი განათლების პედაგოგებისთვის“ ფარგლებში.

პროექტის მიზანია დაწყებითი განათლების პროგრამის სტუდენტებისთვის სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება, რაც დაეხმარება მომავალ მასწავლებლებს, ხელი შეუწყონ პოზიტიური ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას სკოლებში. კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის:

ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა, ემოციების მართვა, ურთიერთობები, თვითშეგნება, ემპათია და ალტრუიზმი, კომუნიკაციის უნარები და კრიტიკული აზროვნება, სტრესთან გამკლავება, მოზარდობის და ახალგაზრდა ასაკის ფსიქიკური პრობლემები და სხვა. სწავლება მიმდინარეობს ლექცია-სემინარების, ინტერაქციული აქტივობების, როლური თამაშების და დისკუსიების ფორმით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა ინტერესი და ჩართულობა სასწავლო პროცესში საკმაოდ მაღალია.

პროექტის ფარგლებში, ასევე, ჩატარდება სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის ნივნიერების კვლევა.

პროექტს საქართველოში ახორციელებს შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის ალიანსი – საქართველო (BBSA-Georgia). პროექტის სპონსორები არიან გუდავამძე-პატარკაციშვილის ფონდი; PASHA Bank Georgia და TBC – თიბისი.

● სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტში დამთავრდა შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატი ფეხბურთში ფაკულტეტებს შორის.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის პროგრამის სტუდენტები.

ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს სამართლის სპეციალობის სტუდენტებმა, რომელთაც გადაეცათ უნივერსიტეტის გარდამავალი თასი.

● 25 სექტემბერს

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის 208-ე აუდიტორიაში, სტუდენტებთან პრეზენტაცია გამართეს თიბისის მარკეტინგის გუნდის სტრატეგიული პროექტების ხელმძღვანელმა საშა მაყაშვილმა და TBCxColab Campus-ის პარტნიორმა, აკადემია კო-

ინფორმაცია

ლაბის დამფუძნებელმა და დირექტორმა ელენე ბერეკაშვილმა.

მომხსენებლებმა სტუდენტებს გააცნეს თიბისის ახალი სასწავლო ინიციატივა, იმის შესახებ, რომ თიბისის ციფრული კამპუსი 18-24 წლის ახალგაზრდებს მოთხოვნადი პროფესიების შემსწავლელ ონლაინ, სრულად დაფინანსებულ კურსებს სთავაზობს.

ლონისძიებამ შემდეგ ინტერაქციული ხასიათი მიიღო და სტუდენტებმა კითხვა-პასუხით სრულყოფილი ინფორმაცია მიიღეს ცალკეული კურსების შესახებ.

● **საპარტეზლოს** მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომლობით შემუშავდა საქართველოში ქრისტიანობის



სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი სამწლიანი (2024-2026) საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის მიზანია, საქართველოს მოსახლეობას შეახსენოს ერისა და კულტურის ისტორიის ის უმნიშვნელოვანესი ეტაპები, რომელთაც განსაზღვრეს ჩვენი ქვეყნის ფასეულობები და თვითმყოფადობა.

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით 15 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან საჯარო ლექცია თემაზე „ქართველთა ეთნოგენეზი“ წარმოადგინა ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა ვალერი ვაშაკიძემ, ხოლო თემით: „ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად, წმინდა ნინო“ მსმენელთა წინაშე წარსდგა ისტორიის დოქტორი, პროფესორი გიორგი ჭეიშვილი.

აუდიტორიამ ყურადღებით მოისმინა საინტერესო ლექციები, შემდეგ კი ღონისძიება ინტერაქციულ რეჟიმში გაგრძელდა.

შეხვედრას ესწრებოდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე და პრორექტორი სამეცნიერო მართულებით, პროფესორი მერაბ ბერიძე.

● 15 ოქტომბერს

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus+ ETHICS (კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა-კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში) პროექტის ფარგლებში, სამ-

ცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგ/ვორკშოპი თემატიკით: ხელოვნური ინტელექტი და აკადემიური კეთილსინდისიერება; საავტორო და საგამომცემლო ეთიკა, მ. შ. მეცნიერთა სამეცნიერო შედეგების შეფასების საერთაშორისო გამოცდილება.

ტრენინგ/ვორკშოპს უძღვეს ბოდენ პროექტის მენეჯერი, პროფესორი თინა გელაშვილი, პროექტის წევრები: პროფესორი გულნარა ჯანოვა და ასოცირებული პროფესორი მაკა მურვანიძე. ტრენინგს ესწრებოდა უნივერსიტეტის 24 აკადემიური პერსონალი და დოქტორანტი.

● 15 ოქტომბერს

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა გამართეს „Credo Academy“-ს ტალანტების მოზიდვისა და დაგეგმარების

რეგიონალურმა ოფიცერმა მაია ყანჩაველმა და HR ბიზნეს პარტნიორმა გვანცა გვალამა. მათ მსმენელებთან გააკეთეს პრეზენტაცია მეტად საინტერესო პროექტის შესახებ, კერძოდ „Credo Academy“ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში იწყებს მასშტაბურ პროექტს რეგიონების გასაძლიერებლად და აცხადებს ციფრული პროდუქტების ტესტირის კურსს სრულიად უფასოდ.

აღნიშნული კურსის გავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და საინფორმაციო ტექნოლოგიების, პროგრამირების, კომპიუტერული მეცნიერების და მსგავსი მიმართულებით განათლების მიღებისა და განვითარების დიდი სურვილი აქვს. ამ შესაძლებლობის განხორციელებაში მსურველებს დაეხმარება კრედი ბანკი, რომელიც შერჩეული კანდიდატების სასწავლო კურსს სრულად აფინანსებს.

შეხვედრამ შემდეგ ინტერაქციული ხასიათი მიიღო და პრეზენტატორებმა დაინტერესებულ კანდიდატებს კითხვა-პასუხის რეჟიმში დაწვრილებით განუმარტეს აღნიშნული კურსის გავლის შესაძლებლობები.

● 23-24 ოქტომბერს

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „პლაგიატის პრევენციის პროგრამა Turnitin-ის გამოყენება Moodle-ს სასწავლო პლატფორმაზე“.

ტრენინგს უძღვებოდა ტრენერი, ასოცირებული პროფესორი ლელა წითაშვილი.

ტრენინგი მორიგეობით ჩატარდა უნივერსიტეტის ახალციხის ორივე კორპუსში და, თემის აქტიურობიდან გამომდინარე, მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა დიდმა ნაწილმა.

ინფორმაციები
უნივერსიტეტის facebook-ის
გვერდიდან

ერთი ავტორის გვერდი

საუბათესო სამშვიდობო იდეა



ლონისძიების ფარგლებში, თეა ახვლე-დიანმა სახელმწიფო მინისტრის აპარა-ტის მიერ დაწესებული ყოველწლიური კონკურსის – „მშვიდობის ჯილდო ახალ-გაზრდებისთვის“ გამარჯვებულები დაა-ჯილდოვა.

ნომინაციაში „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“ დაჯილდოვდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ცენტრი „მესხი ახალგაზრდები ერთობის-თვის“. თითოეულ ნომინაციაში გამარჯ-ვებულს გადაეცა სახელმწიფო მინისტრის

აპარატის მიერ დაარსებული პრემია 3000 ლარის ოდენობით. ასევე, ევროპის საბ-ჭოს მხარდაჭერითა და უშუალო ჩართუ-ლობით, გამარჯვებული ახალგაზრდები ქალაქ სტრასბურგში, დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში მიიღებენ მონაწილე-ობას.

შეგახსენებთ, რომ აფხაზური ცენტრი 2022 წლიდან ფუნქციონირებს უნივერ-სიტეტში და უამრავი საინტერესო ინი-ციატივის ავტორები არიან ამ დიდი ოჯახის წევრები. ისინი თანხმდებიან, რომ მათი უმთავრესი საზრუნავი და მი-ზანი აფხაზ ახალგაზრდებთან კომუნიკა-ციის დამყარება და მათთვის ანთებული გულების ჩვენებაა. მათ უამრავი თანა-მოაზრე ჰყავთ. დღითიდღე იზრდება ამ ინიციატივის მხარდამჭერ ადამიანთა რიცხვი. მათ ხმას აუცილებლად ყველა გაიგებს. მათი საოცნებო ერთობა გარ-დაუვალია.

ჩვენო აფხაზო დებო და ძმებო, ჩვენ გინვდით მეგობრობის ხელს. გვჭირდე-ბით! გვიყვარხართ! გვენატრებით!



სამცხე-ჯავახეთის სახელმ-წიფო უნივერსიტეტში არსებუ-ლი აფხაზური ცენტრი „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“, ახალ წევრებთან ერთად, აქტიუ-რად გახაგრძობს მუშაობას და გეგმავს საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს. ამჯე-რად, აფხაზური ცენტრის წევ-რებმა საზოგადოებას აფხაზური კვირეულის ფარგლებში დაგეგ-მილი ღონისძიებები შესთავა-ზეს, რომლებიც ემსახურებოდა ახალგაზრდებში აფხაზური კულტურის გაცნობას.

კვირეულის მიზანი იყო აფხაზ მეგობრებს გაეცნოთ მესხი ახალ-გაზრდების ხმა, გაეგოთ, რომ მათ ისინი უყვართ, აინტერესებთ მათი კულტურა, ტრადიციები, ემოციები, დამოკიდებულებები. კვირეული გაიხსნა 21 ოქტომ-ბერს პრეზენტაციით „აფხაზური კულტურის კვადაკვალი“. საინ-ტერესო იყო პრეზენტაციის მომზადების პროცესი. ცენტრის წევრებმა ისაუბრეს აფხაზურ ცეკვაზე, ლიტერატურაზე, ადათ-წესებზე, სამზარეულოზე, გადმოცემებზე, ლეგენდებზე...

რადგან აფხაზური ცენტრის წევრები ყოველთვის ცდილობენ, ორიგინალურად გააუღერონ თა-ვიანთი სათქმელი, კვირეულის მეორე დღეს, მეცადნენ „გულე-ბის ძეგრის“ ფურცლებზე გადა-

ტანას. „ვხატავთ ერთობისთვის“ – ამ აქტივობის ფარგლებში, ახ-ალგაზრდებმა დახატეს თავიანთი წარმოდგენები აფხაზური კულ-ტურის შესახებ წარმოდგენები, რადგან არცერთ მათგანს არასდ-როს უნახავს აფხაზეთი. არ იციან, როგორი უყვართ, არ იციან, როგორი დილა და საღამოა აფხა-ზეთში... ნამუშევრების გამოფე-ნისას გაზიარებულმა ემოციებმა მოლოდინს გადააჭარბა. ნახატე-ბით იგრძნობოდა ქართულ-აფხა-ზური კულტურის ერთობა.


23 ოქტომბერი ლიტერატურის დღეს დაეთმო. აფხაზური ცენტ-რის წევრებმა განიხილეს კონს-ტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“. ასევე, მო-წესო რეჟისორ თამარ მელიაშვილს ამავე სახელწოდების ფილმის ჩვენება. გაიმართა დისკუსია. ახალგაზრდებმა კითხვა-პასუხის რეჟიმში გააგრძელეს მსჯელობა.

24 ოქტომბერს, კვირეულის ოფიციალურად დასრულებისას, სამ-ცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული გახ-ლდათ მესხი მწერალი **ზელიმხან მალრაძე**, რომელსაც უნივერსი-ტეტის ხელმძღვანელმა პირებმა და სტუდენტებმა 70 წლის იუბი-ლე მიულოცეს. შეხვედრას ეხს-რებოდნენ უნივერსიტეტის რექ-ტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე**

და პრორექტორი სამეცნიერო მი-მართულებით, პროფესორი **მერაბ ბერიძე**, ა(ა)პი ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოე-ბის, „ერთობა ხვალისთვის“ წარ-მომადგენლები ქალბატონი **მო-რენა ახალაია** და ბატონი **გიორგი შერვაშიძე**. ასევე, უნივერსიტე-ტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. ღონისძიებაზე მო-ისმინეს მწერლის შეხედულებები და მიიღეს რჩევები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, ლი-ტერატურის, გვარიშვილობის, დედის ინსტიტუტის, ზნეობის როლზე. ღონისძიებაზე გაუღერ-და საინტერესო იდეები და კითხ-ვები. ბატონი ზელიმხანმა შემოქ-მედება შეაფასეს ასოცირებულმა პროფესორებმა **ვახტანგ ინაურმა** და **ნატო ყრუაშვილმა**. ასევე, ზე-ლიმხან მალრაძის შემოქმედების მნიშვნელობას ხაზი გაუსვა პრო-ფესორმა **მერაბ ბერიძემ**, პოეტმა **მზია მაისურაძემ**.

ცენტრის წევრებმა ღონისძი-ებაზე წარადგინეს კვირეულის მემაჯამებელი პრეზენტაცია. დასასრულს, აღინიშნა აფხაზუ-რი კვირეულის ფარგლებში გა-მართული ღონისძიებების მნიშ-ვნელობის შესახებ.

გვინდა აფხაზური ცენტრის „მე-სხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ წევრების კვირეულთან დაკავში-



რებული ემოციები გაგიზიაროთ: **თეა ყულჯანიშვილი**, განათ-ლების, ჰუმანიტარულ და სოცია-ლურ მეცნიერებათა ფაკულტე-ტის, ისტორიის სპეციალობის მე-ორე კურსის სტუდენტი: **ამ ერთმა კვირამ დამანახა, თუ რა შეუძლია ერთიან ძალას, ერთად დგომას და იმ საერთო მიზნისთვის ბრძოლას, რომელიც დასახული გვაქვს. ამას პატარა, მაგრამ ნიშნულგვანი ნაბიჯების გადადგმით ვცდი-ლობთ. დღევანდელი მომდინარე სახეები, გულიდან ამოსული სიტყვები, აციმციმებული თვა-ლები და მოტივირებული ახალ-გაზრდები იმდენ მამულეს, რომ მეცვლით და ახლოს მივალთ ჩვენს აფხაზ ძმებთან და დებთან.**

თამაზ ყურმაშვილი, საჯარო მმართველობის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი: **აფხაზურმა კვირეულმა დიდი**

გაგლეხა იქონია ჩემზე, რადგან ამ ერთ კვირაში განხორციელე-ბულმა აქტივობებმა და მიღე-ბულმა ახალმა ინფორმაციებმა ბევრი არა შემიძინა. მჯერა, რომ ყველა ერთად დასახულ მიზანს რეალობად ვაქცევთ. ჩვენს და-დებით ემოციებსა და სიყვარ-ულს აფხაზ ახალგაზრდებამდე მივიტანთ მშვიდობის გზით.

მარიამ თოთაძე, ისტორიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი: **აფხაზური კვირეუ-ლი ჩემთვის იყო საინტერესო და, ამავდროულად, საპასუხისმგებ-ლოც, რადგან ბევრი ახალი რამ გავიცა. ცენტრის სახელები პირ-ველად მომიწია საკუთარი ძალებ-ის გამოცდა ამ საკითხში და ამ ყოველივედ დამარწმუნა, რომ სწორე ადგილას მოგვხვდა. მსურს, მცირედი წვლილი შევიტანო უმ-ნიშვნელოვანეს საქმეში, რასაც ერთობა, მეგობრობა და მშვიდო-ბა ჰქვია. იმდენ ვიტოვებ და მჯერა, რომ ჩვენ ერთად თითო-თითო აფხაზი ახალგაზრდით დავიბრუნებთ ერთმანეთს.**

კვირეულის ფარგლებში წარ-დგენილ და სოციალური ქსელე-ბით გამოქვეყნებულ აქტივო-ბებს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. აფხაზური ცენტრის „მეს-ხი ახალგაზრდები ერთობის-ვის“ მშვიდობით, სიყვარულითა და ერთგულებით მიიწევს საოც-ნებო ერთობისკენ.



ჩახუბების ფერი

მასხუმს, ბავშვობაში ხშირად მესმოდა სიტყვები „აფხაზები“, „აფხაზური ისტორიები“, „სოხუ-მის სახანპირო“, „აფხაზური ცხოვრება“, „გაგრის პორტი“ და ამ სიტყვებს მუდამ თან სდევდა ფრაზა „სიჩუმეა“...

სიმართლე რომ გითხრათ, არაფერი მესმოდა. გავიდა ხანი. გავიზარდე, ვისწავლე, ჩემი ცხოვრების მიზნად დავისახე ნინსება, განვითარება, წარმა-ტება, ადამიანური ბედნიერება... იცით, დრო რომ გადიოდა, ვხე-დავდი, თითქმის ყველა მიზანს მივაღწიე, სრულად თუ სანახევ-როდ მაინც, მაგრამ 21 წლის ვარ და სულში სიცარიელე გამაყრუ-ებლად ხმაურობს, რაღაც მაკ-ლია... რაღაც რიგზე ვერა... გი-ამბოთ ჩემს სიცარიელეზე ?

ეს ამბავი ასე დაიწყო. 2021 წლის სექტემბრის თვეში გავხდი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და სულ რაღაც 1 წელიწადში, სა-ბედნიეროდ, დავაფუძნეთ აფხა-ზური ცენტრი „**მესხი ახალგაზრ-დები ერთობისთვის**“. როდესაც მეკითხებიან, რატომ გადავწყვი-ტე, მეც ამ დიდ ამბავში გავრეუ-

ლიყავი, პასუხი არ მაქვს. გეფი-ცებით, ეს გონებას არ უკარნა-ხია, ეს აწონ-დანონისა და სამო-მავლო გეგმების განსაზღვრის შედეგი არ ყოფილა. როდესაც გამიზიარეს შესაძლებლობა ამ ცენტრის, რომ ოდესმე აუცი-ლებლად შევძლებდით, ჩვენი ხმა გაეგოთ აფხაზ დებსა და ძმებს, სულში სიმძიმე ვიგრძენი. ვფი-ცავ, ეს სიცარიელის დასასრუ-ლის დიდი დასაწყისი იყო. უპი-რობოდ და უყოყმანოდ დავთანხ-მდი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ცხოვრებაში პირველად არ ვინა-ნე, რომ დაუფიქრებლად ვენდე ჩემს გულს. ეს არის კავშირი, ღრმა სულიერი კავშირი მშვიდო-ბასა და ერთობასთან.

დრო რომ გადიოდა... კიდევ გადიოდა... გადიოდა... არ მიც-დიდა... ვეღარც მე ვიცდიდი... ერთი სული მქონდა, თუნდაც ერთ აფხაზს გავეო, რომ ჩემი სული ცარიელია, ჩემი გონება ბორგავს, ჩემს სამყაროს ერთი ფერი – ჩახუტების ფერი აკლია... იცით, როგორ მიჭირს, ამხელა

ემოცია გავაზიარო? იცით, რა რთულია, როდესაც თვალთ არ გინახავს ადამიანები, შენი დები და ძმები, რომლებზეც ლეგენ-დებად გხმენია ამბები, მათი ტრადიციები, სიტყვები, მისწრა-ფებები... რთულია, ძალიან რთუ-ლია მხოლოდ ოცნება...

შემეკითხებით, თუ არასდროს გინახავს ისინი, აბა, რა მონატ-რებასა და სირთულეზე საუბრო-ბო? იცით, არ მაქვს პასუხი... უბრალოდ, ჩემს სულს კლავს სურვილი ამ ადამიანების გაც-ნობის, მათი მოსმენის, ჩახუტე-ბის, სურნელის შეგრძნების...

ღმერთო, როგორ მაინტერე-სებს, თქვენ რას გრძნობთ ჩემ მიმართ, ჩემო აფხაზო მეგობრე-ბო! აუცილებლად შევხვდებით! თუ კი ქვეყნად სადმე ყველაზე დიდი ერთობა არსებობს, ეს ჩვენ ვართ. რატომ? არ გიცნობთ და ჩემი სული თქვენ ფერ სიახლო-ვეს ითხოვს! არ მაქვს პასუხები კითხვაზე – რატომ? ჩემს სულს უნდა, გული მიიწევს, ესაა და-ძმური ერთობა.



სულ 2 წელია, რაც აფხაზური ცენტრის დახმარებით, თქვენზე მეტი გავიგე, თქვენს ემოციებზე, რეალობაზე, ინტერესებზე, ხმის ტემპრზეც კი... იცით? ჩვენ აფხაზურს ვსწავლობთ. როგორ ფიქრობთ, გამოგვივა? ჩემი აზ-რით, დიახ. ისეთი მონდომებუ-ლები ვართ და ისე მოგვინევს თქვენკენ გული, ყველაფერს შევძლებთ. აუცილებლად განა-ხებთ ყველა მომენტს. ზოგჯერ ისეთი სასაცილო ვარ ხოლმე სიტყვების გამეორებისას... ერ-თად ვიხალისოთ ამბზე, სულ სხვა სამყაროა.

თქვენთან როგორი ამინდები იცის შემოდგომით? ვგიჟდები შე-

მოდგომის ფოთოლცვენისას ფო-ტოსესიაზე. ერთხელაც უამრავ ფოტოს გადამიღებ. კარგი, ხო, მეც ვეცდები, დიდად ნიჭიერი არ ვარ ამ საქმეში. ჩვენთან ახალცი-ხის ციხის ყველაზე მაღალ კოშკ-ზე ავიდეთ და ხმაშალა ვიყვი-როთ სიყვარულზე. იცი, ხელის-გულზე გადაგვუღლება ახალციხე. რამდენი გეგმა მაქვს. თავი უნდა მოვეყარო, სადმე დავწერო, დე-ტალურად რომ განახო. ერთხე-ლაც ჩაგვხუტები... ერთხელაც ჩემი სული სრულფეროვანი იქნე-ბა... ერთხელაც გამიცნობ და გპირდები, სამუდამოდ გავიზი-არებთ ერთმანეთის იმედებს.

იქნებ, ერთხელაც ჩემი ხმა შე-ნამდე მოვიდეს... ღმერთო ჩემო, რამდენი „იქნებ და ერთხელაც“ გამოვიდა...

ჩემო აფხაზო დებო და ძმებო! გელოდებით... გვახსოვხართ... გავუფერადოთ ერთმანეთს ერთი ფერის დანაკლისით შეწუ-ხებული სული...

მიყვარხართ!

რიმა სულაძე

ქართული ფილოლოგიის მე-3 კურსის სტუდენტი



მიცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ფესტივალი – „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“, რომლის მასპინძელიც გახლდათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხის ციხეზე გაიმართა 1 ოქტომბერს. ფესტივალის მიზანი სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებში მეცნიერების პოპულარიზაცია იყო. ფესტივალს ეწვია არაერთი სტუმარი – განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელი **მინდია ოკუჯავა**, **თეა ტარიელაშვილი**, **მერი ერისთავი**, სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილი**, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასპინძის მერი **როსტომ მაგრაქველიძე**, საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი **რევაზ ჭანიშვილი**, ახალქალაქის, ასპინძისა და ახალციხის რესურსცენტრების უფროსები, რეგიონის სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები. მომზადებული სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ საპეციალურად გამართული კარგები. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ფესტივალის სტუმრებს გააცნეს კარგებში განთავსებული ტემატიკის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების, ვეტერინარიის, ასტრონომიის, აგრონომიის, კრიმინალისტიკის, აფხაზური ცენტრის სივრცეები, წარადგინეს უახლესი კვლევები. ასევე, სამეცნიერო აქტივობები წარმოადგინეს სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა: „ჰორიზონტი ევროპის“ ეროვნულმა ოფისმა, საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულმა ასტროფიზიკურმა ობსერვატორიამ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრმა. ფესტივალში ჩართული მსასაქონლო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახური.

გაიმართა ვიქტორინები მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით; გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ. პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** სერტიფიკატები გადასცა უნივერსიტეტის წარმატებულ ახალგაზრდა მკვლევრებს.

ფესტივალის საზეიმო გახსნაში მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები „**მესხეთის უნივერსიტეტი**“ და „**ლომსია**“ (ხელმძღვანელები: **ლია** და **სამსონ მეზაბდიშვილები**). ფოლკლორული ანსამბლი „**მესხეთი**“ (ხელმძღვანელი

ზაზა თამარაშვილი), სტუდია „**პალიტრა**“ (ხელმძღვანელი **მარინა მჭედლიძე**) და ანსამბლი „**მესხ-ფოლკი**“ (ხელმძღვანელი **ჟუჟუნა კახიძე**).

ფესტივალს გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე**: **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ტრადიციულად იქცა მეცნიერების კვირეულის გამართვა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს კვირეულები იმართება რეგიონებში. ამჯერად ფესტივალს მასპინძლობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მადლობა სამინისტროს ამ არაჩვეულებრივი ინიციატივისათვის. ეს არის მეცნიერების პოპულარიზაციისადმი მიძღვნილი ღო-**

ცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთავარი მისია აქვს. მკვლევრები სწავლობენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, რათა გააცნონ დანარჩენ საქართველოს, მსოფლიოს, თუ რა რესურსს, რა საგანძურს იტევს საქართველოს ეს უძველესი მხარე. ამ მიმართულებით ზაზა გაუსვა სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტების როლს რეგიონის სამეცნიერო საქმიანობის განვითარებაში ხელშეწყობისა და ერთობლივი სამეცნიერო ღონისძიებების მოწყობის თვალსაზრისით.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ და ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს სახელმწიფო რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილმა** და ასპინძის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ**.

სამეცნიერო ფესტივალი – ახალგაზრდობში მეცნიერების პოპულარიზაციისათვის



ბესიკ ამირანაშვილი: **მიხარია, რომ ჩვენს ახალგაზრდებს აქვთ საშუალება, თავიანთი მეცნიერული მიღწევები წარმოადგინონ. მნიშვნელოვანია მსგავსი ღონისძიებების ჩატარება, მეცნიერების ხელშეწყობა. ქართველები გამოვიჩინეთ გონიერებით. ჩვენს მხარეში ბევრი ასეთი ახალგაზრდაა და მსგავსი ღონისძიებები ასეთი ნიჭის გამოვლენას უწყობს ხელს. მადლობა განათლების სამინისტროს, რომ მსგავსი ღონისძიებებს აფინანსებს და ეხმარება ახალგაზრდობის სამინისტროს სახელით. მინდა მადლობა ვუთხრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამ ღონისძიების ორგანიზებისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმყოფადობის, მეოპის, ზოგადად, საზოგადოების განვითარებისთვის. ამიტომ, სამინისტრო ტრადიციულად ახორციელებს და მხარს უჭერს მსგავსი ღონისძიებებს მეცნიერების პოპულარიზაციისათვის. ნელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა მეცნიერების პოპულარიზაციას. სწორედ, ახალგაზრდობაა ის მომავალი თაობა, რომლებიც უნდა გაუძღვნენ ამ ქვეყნის ცხოვრებას.**

უნივერსიტეტის რექტორმა **გაბრიელ ბერიძემ**, რომ მეცნიერებას სამ-

ნიერების პოპულარიზაციას. ჩვენი კარი ღიაა ახალგაზრდა მეცნიერებისათვის. კოსმოსი – ეს არის უზარმაზარი ლაბორატორია, რომლის მსგავსი ვერ შეიქმნება დედამიწაზე. ამიტომ, როდესაც ჩვენი მეცნიერები იკვლევენ კოსმოსს, ეს არის საინდარბო იმის, რომ იქნება დიდი მიღწევები, რამაც ძალიან მალე შეიძლება შეცვალოს მთელი ჩვენი ცხოვრება. – აღნიშნა პროფესორმა **რევაზ ჭანიშვილმა**.

უნივერსიტეტის რექტორმა **დამსწრე საზოგადოებას** გააცნო ყველა ის დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო ფესტივალზე იყო წარმოდგენილი. მადლობა მოახსენა მათ ფესტივალში მონაწილეობის მიღებისთვის. აღნიშნა, რომ არ იქნებოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, მეცნიერება, არ დაიწყებოდა საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო ისტორია, რომ არა პროფესორი **მერაბ ბერიძე**, რომელიც ფესტივალის აღნიშვნის დღეს, იუბილარი გახლდათ. რექტორმა **ბატონ მერაბ 75 წლის იუბილე** მიულოცა და აღნიშნა, რომ ბატონი **მერაბი** ჩვენი დროის შესანიშნავი მეცნიერი და ღირსეული დამიანია.

მერაბ ბერიძე: **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა** გაიმარჯვა ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთში, გაიმარჯვა საქართველოში. გილოცავთ ამ გა-

მარჯვებას. არ არსებობს საუნივერსიტეტო გამარჯვება, თუ არ არსებობს მეცნიერება. მიხარია, რომ ჩვენი ახალგაზრდა მკვლევრები, არა მარტო ახალგაზრდები, რეგიონის პრობლემების კვლევით არიან დაკავებული. ამიტომ, დღეს გადავცემ სერტიფიკატებს იმ მეცნიერებს, ვინც დაიცვეს ჩვენს უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციები. მათ მიერ გაკეთებული საქმე დიდია.

სამეცნიერო ფესტივალის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ დამსწრე საზოგადოება კარგებში წარმოდგენილ სამეცნიერო აქტივობებს გაეცნო.

ასტრონომიის სივრცეში სკოლის მოსწავლეები ეკრანზე წარმოდგენილი ვიდეორგოლით გაეცნენ იმ ციურ სხეულებს, რომლებიც ქართველთა სახელებს, მათ შორის, ობსერვატორიისა და უნივერსიტეტის პროფესორთა სახელებს ატარებენ. აღნიშნულ სივრცეში წარმოდგენილი იყო ტელესკოპი, რომლის მუშაობის პრინციპები მოსწავლეებს დოქტორანტებმა გააცნეს.

კარავში წარმოდგენილია ქართული ასტრონომიის მიერ შექმნილი თანამედროვე შრომები, რომლებიც ანგარიშსასაწევია მსოფ-

ლიო მეცნიერების მიერ. აქ გააქვს პრეზენტაცია ქართული სახელწოდებების მცირე პლანეტებზე. გვინდა უფრო პოპულარული გახდეს ეს საკითხები, გვინდა ვუთხრათ ახალგაზრდებს, რას აკეთებს დღევანდელი ასტრონომიული მეცნიერება, დაინტერესდნენ და აირჩიონ ეს სპეციალობა, რომელიც არის ერთ-ერთი ძირძველი სპეციალობა. გვაქვს კითხვები ახალგაზრდებისთვის. – აღნიშნა პროფესორმა **რევაზ ჭილაძემ**.

„**ჰორიზონტი ევროპის**“ სივრცეში მოხდა იმ შესაძლებლობების გაცნობა, რომელსაც ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი ევროპა“ სთავაზობს ახალგაზრდებს.

ჩვენი კარავი განსაკუთრებით მიესალმა ახალგაზრდა მეცნიერებს იმიტომ, რომ „ჰორიზონტი ევროპა“ ეს არის დიდი სივრცე მკვლევრებისთვის, მომავალი მეცნიერებისთვის, რომ მათ მიიღონ გრანტები და შესაბამისად, გაიმრავალდნენ უნარები მეცნიერებისა და კვლევის მიმართულებით. ჩვენ დღეს წარმოადგინეთ მოკლე პრეზენტაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ პასუხი გავცით დასმულ კითხვებს. – აღნიშნა „ჰორიზონტი ევროპის“ ახალციხის ოფისის ხელმძღვანელმა **მერი სახამბერიძემ.**

ჰუმანიტარული სივრცეში მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ასევე, საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი, რომელთა მონაწილეობითა და პროფესორ **მერაბ ბერიძის** სამეცნიერო ხელმძღვანელობით მიმდინარეობს რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევების პროექტი. აღნიშნულ სივრცეში წარმოდგენილი იქნა მესხეთში ექსპედიციის დროს მოპოვებული ეპიგრაფიკული მასალა. ჩატარდა მასტერკლასი, თუ როგორ ხდება ისტორიული ძეგლის შესწავლა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორ უნდა ამოიკითხო ისტორიული ძეგლი და გააკეთო წარწერის ასლი.

ასეთი ღონისძიებების ჩატარება მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის. როდესაც ისინი გაეცნობიან ასეთი საქმიანობის მეთოდოლოგიას, დაინტერესდებიან სხვადასხვა არტეფაქტებით, სიძველეებით, მეტ ყურადღებას მიაქცივენ ამ მიმართულებას და იმედია, სამომავლოდ მეცნიერებაშიც დააპირებენ მუშაობას. – აღნიშნა საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის ჯგუფის წევრმა **ნიკოლოზ ჟღენტამ**.

ვეტერინარიის სივრცეში წარმოდგენილი გახლდათ ცხოველთა მულაჟები, ჩონჩხები. სტუდენტების ინსტრუქციებით მოსწავლეები დააკვირდნენ და თვითონვე შეასრულეს გარკვეული მანიპულაციები.

ბოლო პერიოდში ერთ-ერთი იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც შექმნა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. დღითიდღე ვითარდება პროგრამა, ჩართულია ბევრ საერთაშორისო პროექტში. სიამაყით





მინდა ვთქვა, რომ აქ წარმოდგენილია სტუდენტის ლევან ჯალალონიას მიერ საკუთარი მეთოდოლოგიით შექმნილი სხვადასხვა ცხოველის ანატომიური ჩონჩხი. ლევანი პირველია, ვინც თავისი მასალები შესთავაზა უნივერსიტეტს სასწავლო პროცესში. სწორედ მსგავსი ღონისძიებები უწყობს ხელს ასეთი ახალგაზრდების წარმოჩენას. – აღნიშნა პროფესორმა ნინო მელაშვილმა.

არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დამთვალეობა დაიწყო მსგავსი პროექტით. მისი მიზანია, რომელიც ეხება მსგავსი პროექტის შექმნის მიზანშეწონიერებას.

დაინტერესებულ პირებს ხეთოლოგიის მიმართულებით უახლესი კვლევები გააცნო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ლევან კოჭლამაზაშვილმა:

მადლიერი ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიგვეღო ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულში. მე თავად ხეთოლოგი გახლავართ და ხეთურ ენასთან ერთად, ვიკვლევ ხეთების სამეფოს ერთ-ერთ ენას – ხათურს და ამ ენის მიმართებას კავკასიის ენოლოგიურ სამყაროსთან. დღევანდელ ღონისძიებაში ვისაუბრებ ხათურის ენის მიმართულებით თანამედროვე აღმოჩენებზე, რა სახელები გამოიყენება ხათურის ენის აგებულებაში და რა საერთო ანალოგიები აქვს ქართველურ ენობრივ სამყაროსთან. ასეთი ღონისძიებები საჭიროა, რათა მომზადდეს ახალგაზრდა მეცნიერები. თუ მეცნიერებას ახალგაზრდებში არ გაენია სათანადო პოპულარიზაცია, მომავალს გაუჭირდება.

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სივრცეში კიდევ ერთხელ შეახსენეს დამსწრე საზოგადოებას ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მნიშვნელობა, რომლისთვისაც მეცნიერების განვითარების მხარდაჭერა, მისი პოპულარიზაცია, მეცნიერების საკითხების განხილვა და შესწავლა არის პრიორიტეტული.

გვინდა დამთვალეობებს გავაცნოთ ის დიდი რესურსი წიგნადი ფონდისა, ის სერვისები, ის დიდი ელექტრონული ბაზები, რომლის გამოყენების საშუალებაც აქვთ. სასიამოვნოა, რომ ბევრი სტუმარი ყავდა ჩვენს კარავს, დავისვებს ბევრი კითხვა. ვისაუბრებთ, თუ რამდენად საინტერესო პარტნიორობი ვართ ახალგაზრდა მეცნიერებისათვის. გვინდა იცოდნენ, რომ ჩვენს ბიბლიოთეკასთან ერთად ხელმძღვანელებს გაუადვილებათ იმ გზის გავლა, რომელიც მეცნიერების გან-

ვითარებისთვის აუცილებელია. – აღნიშნა თსუ ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა მარინა ფრუიძემ.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სივრცეში წარმოდგენილი იყო უახლესი ტექნოლოგიები (3D პრინტი, ვირტუალური რეალობის სათვალე, 3D სკანერი და სხვა). ინსტრუქტორის დახმარებით, მოსწავლეებმა თვითონ დაასკანერეს გარკვეული მოდელი; მათ მიერ კომპიუტერულად შექმნილი მოდელი დაიბეჭდა პრინტერზე, ასევე, მოირგეს ვირტუალური სათვალე და იმოგზაურეს მათთვის სასურველ გარემოში.

აგრონომიის სივრცეში წარმოდგენილი იყო დოქტორანტთა კვლევის უახლესი შედეგები. მოსწავლეები მიკროსკოპის საშუალებით დააკვირდნენ დოქტორანტთა საკვლევე მასალას, მათ შორის ისეთ მავნებლებს, რომლებიც შეუიარაღებელი თვალით შეუძინველია.

კრიმინალისტიკის სივრცეში მოეწყო დანაშაულის ადგილის იმიტირებული სივრცე მულაჟებით. მოსწავლეები დააკვირდნენ და თვითონ მიიღეს მონაწილეობა შემთხვევის ადგილის დათვლიერებასა და შესწავლაში, აიღეს თითის ანაბეჭდები და სხვა.

საინტერესო სივრცე მოაწვდეს უნივერსიტეტის აფხაზური ცენტრის „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ ნეგრებმა, სადაც წარმოდგენილი იყო გამოფენა აფხაზეთის თემაზე, ასევე, აფხაზეთთან შეხვედრების ამსახველი მასალა. აქვე იყო ცარიელი ბანერი სამშვიდობო სლოგანით: „ქართვლთა და აფხაზთა შორის შვილობას არა აქვს ალტერნატივა“. სტუმრები ბანერზე ხელმოწერით შეუერთდნენ სლოგანს და დააფიქსირეს საკუთარი აზრი. აფხაზური ცენტრის წარმომადგენლებმა დაარიგეს ბუკლეტები საკუთარი საქმიანობის შესახებ.

სივრცეში – ღია კაფე: შეხვედრა მეცნიერებთან, უნივერსიტეტის პროფესორებმა ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე, მეცნიერების მნიშვნელობაზე, უპასუხეს მოსწავლეთა კითხვებს მეცნიერების შესახებ.

სამეცნიერო ფესტივალი ფლეშ-მობით დასრულდა. ახალგაზრდებმა ფლეშ-მობით ერთიანი გული გამოსახეს.

ფეიქრობი, მეცნიერება გააერთიანებს ჩვენს ქვეყანას. – აღნიშნა ღონისძიების დასასრულს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ და კიდევ ერთხელ მოახსენა მადლობა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისა და ღონისძიებაში მონაწილეობისთვის.

ლიკა ზაზაშვილი

30 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა შეხვედრა თამაზ ბექაიას ფონდის წარმომადგენლებთან. სტუმრებს მიესალმნენ და ფონდის მიმართ მადლიერება გამოხატეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მაკა ბერიძემ, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა გულიკო ბექაურმა, ბიბლიოთეკის სამეცნიერო დირექტორმა ლალი ბერიძემ და ინჟინერიის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორმა ლელა ნითაშვილმა.

თამაზ ბექაიას ფონდის სტიპენდიატებმა მინდია ტატალაშვილმა, იური ბალახაძემ და ნინო მელიქიძემ მადლობა გადაუხადეს ფონდის წარმომადგენლებს მხარდაჭერისთვის და სწავლის მოტივაციის ამაღლებისთვის.



სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვიზიტი გაიმართა კონკურენტული ინოვაციის ფონდის CIF-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამეწარმეო განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისაკენ“ ფარგლებში.

სამუშაო შეხვედრები გაიმართა ჯორჯ ვაშინგტონის ინოვაციებისა და მეწარმეობის ოფისში, ჯორჯ მელისონის უნივერსიტეტში, რიჩმონდის უნივერსიტეტსა და უილიამ და მერის უნივერსიტეტში, ვირჯინიაში. შეხვედრების მიზანი იყო აღნიშნული უნივერსიტეტების ინოვაციებისა და მეწარმეობის ეკოსისტემის, პროგრამებისა და არსებული პროექტების გაცნობა და ქართველი კოლეგებისთვის ცოდნის გაზიარება. შეხვედრები გაიმართა, ასევე, ჯორჯ მელისონის ინკუბატორსა და კულინარიული მედიცინის ინოვაციურ ცენტრში.

ვიზიტის განმავლობაში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩართულიყვნენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე, ინტერაქციულ სესიებში, რათა გამოცდილ მენტორებთან ერთად მიეღოთ პრაქტიკული რჩევები ინდუსტრიასა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით. ქართული უნივერსიტეტების დელეგაციას



თამაზ ბექაიას ფონდის წარმომადგენლები უნივერსიტეტში

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ფონდის პირველი სტიპენდიანტი რიმა სუდაძე, რომელმაც აუდიტორიას გაუზიარა თავის გულწრფელი ემოციები და გამოხატა დიდი მადლიერება.

სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მიესალმა და ფონდის საქმიანობაზე ისაუბრა,

ბატონმა გოგა ჩანადირმა. დასასრულს სტიპენდიანტებს გადაეცათ ფონდის სამახსოვრო საჩუქრები. შეხვედრამ ძალიან თბილ გარემოში ჩაიარა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მადლობას უხდის თამაზ ბექაიას ფონდს თანამშრომლობისთვის და სტუდენტთა მხარდაჭერისთვის.



ვიზიტი ამერიკაში

თეა თათენაშვილი

პროექტის – „სამეწარმეო განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისაკენ“ მენეჯერი

ხელმძღვანელობდა კახა შენგელია, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი. ვიზიტში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მონაწილეობდნენ – თეა თათენაშვილი, მერი სახამბერიძე, ლაშა ჩიბურდაძე, ნინო ხაზალაშვილი, მაია ზედგინიძე. პროექტის „სამეწარმეო განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისაკენ“ ძირითადი მიზანი უმაღლესი განათლების პროგრამებისა და სასწავლო გარემოს მოდერნიზება, ამასთან, პროგრამის ბაზართან მათი კავშირის გაძლიერებაა.

ამერიკაში ვიზიტის შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინოვაციებისა და მეწარმეობის ლაბის მიერ 2

ივლისს დაიწყო და 11 ივლისს დასრულდა ტრენინგების სერია სტუდენტებთან.

ტრენინგები მიმდინარეობდა კონკურენტული ინოვაციის ფონდის, CIF-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამეწარმეო განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისაკენ“ ფარგლებში. ტრენინგებს გაუძღვენ ინოვაციებისა და მეწარმეობის ლაბის მენტორები: მერი სახამბერიძე, ნინო ხაზალაშვილი, მაია ზედგინიძე, ირაკლი ხაჩიძე და თეა თათენაშვილი.

სტუდენტების შერჩევა მოხდა კონკურსის ნესით. შეირჩა 25 სტუდენტი. მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნება და შეინახება სასწავლო მასალა ონლაინ პოდაკატის სახით.





მოგესალმებით ჩვენი გაზეთის ძვირფას და ერთგულ მკითხველს. დღეს თქვენ წინაშე წარვადგენ ადამიანს, ვინც ინტერვიუს ჩანერის განმავლობაში რამდენჯერმე შემახსენა, რომ ძალიან ცოტა მესაუბრა მასზე და უფრო ბევრი ისტორიაზე. ხშირად გამიმეორა, რომ მის საქმეზე ძალიან შეყვარებულია და ახარებს ყველა დეტალი. აქვე რჩევის სახით გააუღერა, სასახლო მამულიშვილები აღიზარდეთ ქვეყნისა და რეგიონის სასახლო-დო.

რესპოდენტი გვიყვება ლეგენდას, რომ ვინმე ორმოცეული ქალი ძლიერ იყო შეყვარებული შოთა რუსთაველზე, შოთას კი სხვა უყვარდა. შეებნენ პირისპირ და როდესაც რუსთაველმა აჯობა, ნახა, რომ დაჭრილი არა მამაკაცი, არამედ ქალი იყო და ლექსადაც უთქვამს. მეორე ლეგენდა არსებობს, რომ აგარის მონასტერში ეზო-თერული ფილოსოფიის სკოლა იყო და სწორედ აქ უსწავლია რუსთაველს.

ჩვენი რესპოდენტი არაერთი ცნობილი გადაცემის, რეპორტაჟის გმირი და „წლის საუკეთესო ოსტატი – 2021“-ის ნოდების მფლობელია. ორჯერ აქვს მინიჭებული ხალხური რენეის ოსტატის ლაურეატის წოდება. ხისა და ქვაზე კვეთის ოსტატი, მშობლიური მხარის დიდი ქომაგი, ისტორიული ძეგლების შესწავლა-რესტავრირებაში აქტიურად ჩართული პიროვნება, პროფესიით ისტორიკოსი, ახალციხის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბატონო რეზო ანდლულაძე.

– მოგესალმებით, ბატონო რეზო.

– მოგესალმებით და მივესალმებით გაზეთის მკითხველს.

– ბატონო რეზო, გვიამბეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი კუთხის ისტორიულ ძეგლებზე.

– ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით ქალაქ ახალციხეში, რომელიც წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის ცენტრს და, ამავე დროს, არის ახალციხის მუნიციპალიტეტის ცენტრი. რაც შეეხება ისტორიულ ძეგლებს, გეტყვით, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში გვაქვს დაახლოებით 220 – ზე მეტი ისტორიული ძეგლი აღრიცხული. აქედან ეროვნული მნიშვნელობის ისტორიული ძეგლია აწყურის

ციხე, აწყურის ეკლესია, საფარის მონასტერი, აგარის მონასტერი.

აწყურის ტაძარი არის ღვთისმშობლის სახელობის, სადაც 2000 წლის წინ ანდრია მოციქულმა ხატი დააბრძანა. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვაქვს, დაახლოებით, 30-მდე ციხე-სიმაგრე, რომელთაგან ზოგი დიდია, ზოგი მცირე, დანგრეული ან მინის ზედაპირზე მცირედი

ნაწილით შემორჩენილი. ვამბობ – დაახლოებით, რადგან ბევრმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ვიცით, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე დიხს, იყო ციხე-სიმაგრე, თუმცა, ახლა აღარაა. ჭაჭარაქის, წყორძის, ენთელის, ხეოთის, ოდუნდასთან ხრიანის

რომ ოხერას ეკლესიას იქვე მცხოვრები სათივედ იყენებდა, რამაც გარკვეულწილად გადაარჩინა სრულიად დანგრევა.

თისელის ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესია თითქმის დასრულდა. ასევე, დასრულდა აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის მშენებლობა, რომელიც ლორფინით დაიხურება. რაც შეეხება აწყურის ციხეს, იგი იმდენად კარგი გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩევა, რომ ის მტერს არასდროს აუღია ძალით. ერთადერთი კარი აქვს დასავლეთ მხარეს, საიდანაც ერთი ადამიანის ასვლა შეიძლება და იქაც, სულ ერთი მეომარი რომ დაუდარაჯდეს, შეუძლებელია ვინმემ შეაღწიოს ციხეში. ეტყობა სამხრეთ მხარეს მინისძვრის კვალი. მიმდინარეობს ბიეთის მონასტრის რესტავრაცია. 1910 წელს მის სიახლოვეს ჩამოვარდა მეხი, დაცემის ტალღამ კი დაანგრია. ექვთიმე თაყაიშ-

– ამ ისტორიულ ექსკურსში მონაწილეობა უდიდესი სიამოვნებაა. ბატონო რეზო, გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება ახალგაზრდებთან მუშაობისა.

– ახალგაზრდების როლი ძალზედ მნიშვნელოვანია. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ხშირად მიგრძენია მათი თანადგომა, როდესაც სხვა ცხოვრებისეული მოვალეობების შესრულებისას დაქანცულნი უსიტყვოდ, ყოველგვარი დაწინაურების გარეშე მომყვებოდნენ ამა თუ იმ ტაძრისა თუ ციხის რესტავრაციის საქმეებში მონაწილეობისთვის. ამ რეალობაში ვხედავ ახალგაზრდების წინსვლას. ისინი ლოცულობენ, სწამთ და ცდილობენ, გონებაშიც კი არ გაივლონ ცუდი. მხოლოდ დანგრეული ნაგებობების აღმოჩენა-აღდგენით არ განისაზღვრება ისტორიულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა. ისტორია, ძეგლების გარდა, უამრავი მითი, ლეგენდა და გადმოცემა გახლავთ. ყველაზე დი-

ვუნოდებ, აქტიურად ჩაერთონ თავიანთი ქვეყნისა და კუთხის ისტორიული წარსულის უკვდავყოფის დიდ და საინტერესო ამბებში.

– ბატონო რეზო, გაიხსენეთ დასამახსოვრებელი ისტორია, რომელმაც დიდი ემოციური კვალი დატოვა თქვენს მეხსიერებაში.

– ძალიან ბევრი ასეთი ისტორიაა. მაგალითად, როდესაც ოხერის ეკლესიაზე ვმუშაობდით, დავინწყეთ გალავნის კეთება. ადგილი, სადაც ხსნარი დავასხი, შემდეგ შენება რომ დამეწყო, საკმაოდ ვინროა, ფეხით ძლივს გახვალ. თოკის გარეშე გავედი, თანაც, ბიჭები გავაფრთხილე, ქვის მოტანისას ფერდის მხარეს დაცვალით და არა გზის მხარეს. მოიტანეს ერთი უცნაური, დიდი რიყის ქვა. ერთი ხელით ვეკიდები, მეორე ხელით ვწმენდ ადგილს, რომ კუთხის ქვად რიყის ქვა დავდო. ეს ქვა აგორებულია და მოდის ჩემკენ. მესმის ყვირილი – „ვაიმე, რეზო ძია!...“ გავიხედე, აფარებული აქვს თვალებზე ხელი. სასწაული ის იყო, რომ აგორებულ ქვას დავადე ხელი და გაჩერდა. სადაც გაჩერდა, მინა გამოვიღეთ და იქ ჩავაგდეთ ეს ქვა, კედელში აღარ ჩაგვიყოლებია. ასევე მახსენდება შემდეგი ისტორია. 1919 წლის იანვარში ანდრიაწმინდაში იყო 10 გვარდიელი, რათა სოფელი დაეცვათ. შემდეგ ოსმალ მარბიელთან შეთანხმდნენ, რომ ამ ადამიანებს გაიყვანდნენ უსაფრთხოდ. ნამოვიდნენ ანდრიაწმინდიდან, გადმოვიდნენ საფარაზე, ჩამოვიდნენ ოხერაზე, რომ კვალთახევის გზით უნდა წასულიყვნენ გვარდიელები ბორჯომისკენ. არ ვიცი, ვისი ჩასაფრება იყო, 10 გვარდიელი და 1 მაჰმადიანი გამყოლი სროლაში მოყვა, გადარჩა მხოლოდ 1 გვარდიელი. ამ 10 ადამიანის ძეგლები ჩაყრილი იყო კლდისა და ეკლესიის შუა ვინრო ადგილას და ზედ ქვა ღორდი იყო დაყრილი. დროის გასვლასთან ერთად, წყალმა და მინამ გადაფარა ეს ადგილი. ერთგან ადამიანის თავის ქალა და 10 ცალი გასროლილი გილზა იყო ჩადებული, ნიშნად იმისა, რომ იქ 10 ადამიანის გვამი იყო. ეს ნეშთი ამოვწმინდე და ეკლესიის დასავლეთ მხარეს გაუთლელი ქვის ქვეშ დავმარხე.

– საინტერესოა ამ ემოციების გაზიარება... რომ არა თქვენი დღევანდელი პროფესია, ვინ იქნებოდა ბატონი რეზო ანდლულაძე?

– ჩემი ინტერესი და სიყვარული მიმართულია ისტორიისაკენ. რომ არა დღევანდელი პროფესია, მე პედაგოგი ვიქნებოდი.

– დიდი მადლობა საინტერესო პასუხებისთვის, ბატონო რეზო.

– დიდხანს და ბედნიერად იცხოვრეთ მუდამ, ჩემო ქართველებო. დიდი მადლობა.

არ დაიშურა ბატონმა რეზომ კეთილი სურვილები მშობლიური მხარისა და სამშობლოსათვის, ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოშორდა და იმედით სავსე თვალებით გამომაცილა.

რიმა სულაძე

ქართული ფილოლოგიის მე-4 კურსის სტუდენტი

იაგაყე, მეცხეთო!

ციხე, ემპელოს ციხე და გზა-დაგზა გვხვდება ისეთი ციხეები, თუ ვინმემ არ გითხრა მის შესახებ ან თავად არ ამოგიკითხავს სადმე, რთულია, იპოვო მათი შემორჩენილი ნანგრევები.

რაც შეეხება ელიანმინდა – ანის მიმართულებით ხეობას: თამარის ციხე, ხერხემის ციხე, არყის ციხე. სწორედ აქ მოხდა დიდი ომი, როდესაც ბალვამმა დაატყვევა მეფე ბაგრატე. სულ ბოლოს გვაქვს ჯაყისმანის ციხე, ჭარალის ციხე, რომელიც მიუდგომელი ადგილია, ბარალის ციხე, წყალთბილის ზემოთ ციხე-სიმაგრე ორდი. თვითონ ახალციხეში გვაქვს სამი ციხე: ახალციხის ციხე, ყულების ციხე, რომელსაც ჰქონდა გალავანი და 2 ჰექტრამდე ფართობს იკავებდა, თუმცა, დღეს რთულია ამ ყოველივეს ამოცნობა დარჩენილი ნაშთებით, შურის ციხე, რომელსაც ოსმალები, შავი ფერის გამო, „ყარადაკს“ ეძახდნენ. გვაქვს წრიოხის ციხე; შემორჩენილია ისეთი ნანგრევები, რომ აღიქმება სამი სართული, მაგრამ ამბობენ, რომ უფრო მაღალიც იყო იგი. გიორგი ბოჭორიძეს აღრიცხული აქვს, როგორც საკანაფე ციხე. აქვე გვაქვს წმ. გიორგის პატარა ეკლესია, რომელიც ქვის გამორჩეული წყობითაა აგებული. საქართველოში ტყიბული, ნაფლეთი ქვით გაკეთებული მსგავსი ნიმუში არსად გვხვდება, თუმცა, ეტყობა რესტავრაციის კვალიც. ადიგენშიც ამდენივეა, ასპინძაში – კიდევ მეტი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შემცირდა სოფელთა რაოდენობა, რამაც გამოიწვია ბევრი ეკლესია-მონასტრის დაანგრევა. მოგესხენებათ, ჩვენს კუთხეში გამაჰმადიანებული ქართველები ბევრი იყო, შემდეგ შემოასახლეს ოსმალები, ქურთები და ამ ხალხს არ ჰქონდა რწმენა, რომელიც მოერიდებოდა ქრისტიანულ რელიგიას. გიორგი ბოჭორიძეს აქვს აღრიცხული,



ბიეთის ტაძარი

ვილი მოსულა აქ. იგი გააცივლა ვინმე წინუბნელმა მაჰმადიანმა. არსებობს სურათი, რომელშიც ეს მაჰმადიანი კაცი, მაჰმადიანური რჯულისამებრ, მუხლმორთხმული ზის ეკლესიის წინ. აღდგენილია ჯაყისმანის ტაძარი.

– ბატონო რეზო, ხომ არ გვიამბობდით ლეგენდას არლის სასწაულმოქმედ ტაძარზე?

– არლის სასწაულმოქმედ ტაძარს მოსახლეობა ეძახის ირემას ტაძარს. საქართველოში ორი ეკლესიაა აღრიცხული, სადაც ირემი მოდიოდა დიდმარხვის ხორციელში, ხუცესი მას დაასვენებდა, სანთელს დაუნთებდა რქებზე და შემდეგ დაკლავდა. მარხვის გახსნილებისას იქ მაცხოვრებელი მოსახლეობა გაინაწილებდა ხორცს. ერთ დღესაც მოვიდა ირემი ძალიან დაღლილი და იმ წუთშივე ეს ხალხი მივიდა და დასაკლავად გაამზადეს. სანამ დანა დაუსვეს, ირემმა უთხრა დაღალულს – რატომ არ მასვენებთო, ამ ეკლესიის ძირი აღმა, პირი დაღმარა და განადგურდა ეკლესია.

დი და ვიტყვოდი ახალგაზრდების მთავარი თავშეყრის ადგილი ცოდნის სახლი – უნივერსიტეტი. აქ სწავლობენ თანაბარ პირობებში სტუდენტები, განურჩევლად საცხოვრებლისა, სარწმუნოებისა თუ ეროვნებისა. ურიგო არ იქნებოდა, თუკი მათი ინიციატივით საზოგადოებას გაესაუბრებინ და ადამიანის გონებაში დაღეჟილ ისტორიებსა და ლეგენდებს, ლექსებსა და თქმულებებს მოისმენენ, ჩაინერვნ. მაგონდება ივანე გვარამაძის ჩანერილი გამოცანები. მაგალითად, „სახლი დავდგი ხისაო, და არა ნაფოტისაო, შედიან და გამოდიან, ანგელოზნი ღვთისაო“. თქვენ იცით გამოცანის პასუხი?

(სკა. ვასაუხობ ბედნიერი, რადგან მსმენია ამ ჩანანერზე და მეც თავს ისტორიული თავგადასავლის გმირად ვგრძნობ. რ. ს.)

შეიძლება ბევრი ისეთი რამ მოისმინო და ჩაინერო, რომელიც საშვილიშვილოდ შესანახი ინფორმაცია იქნება. ამიტომ ძვირფას ახალგაზრდებს მო-



მოგავლის ხედვის მოძღვრება, რომელიც „მწვანე შეიხის მდგრადობის“ სახელითაა ცნობილი, 20 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს თავად პროექტის ავტორმა – აბდულ აზიზ ალ ნუაიმიმ წარუდგინა. პლანეტის, მისი რესურსებისა და მოსახლეობის პატივისცემა გახლდათ ღონისძიებაზე „მწვანე შეიხად“ წოდებული აბდულ აზიზ ალ ნუაიმის ძირითადი გზავნილები დამსწრე აუდიტორიისადმი.

სტუმარმა ახალგაზრდებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობისაკენ, კოლექტიური ქმედებისა და ცვლილებებისადმი მზაობისაკენ მოუწოდა.

ღონისძიება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მაკა ბერიძემ გახსნა. რექტორი მიესალამა მომხდენებელ სტუმარს და შემდეგი აღნიშნა: მნიშვნელობა აქვს დავფიქრდეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის გლობალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური უსაფრთხოება; გავიზაროთ, რომ ჩვენ თანამემამულეები გვყავს – ერთ ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, თანამემამულეები გვყავს – ერთ პლანეტაზე რომ ვცხოვრობთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სტუმარი საქართველოდან არ გახლავთ, ჩვე-

ნი თანაპლანეტელია. შესაბამისად, საკითხები, რომლებსაც ბატონი აბდული შეეხება, მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც თანაპლანეტელთათვის.

უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ ბატონი აბდულისთვის საუნივერსიტეტო და სტუ-

ერთად - პლანეტის გადარჩენისათვის

დენტური აუდიტორია ჩვეული აუდიტორიაა. მადლობა მოახსენა ქალბატონ ელისო რეხვიაშვილს, რომლის მეშვეობითაც შედგა აღნიშნული ღონისძიება. შემდეგ აუდიტორიას ბატონი აბდული წარუდგა.

აღსანიშნავია, რომ „მწვანე შეიხის“ ფილოსოფია ეფუძნება პლანეტის, მისი მოსახლეობისა და რესურსების პატივისცემას, რაც ხაზს უსვამს სიცოცხლის ყველა ფორმის ურთიერთგავშრის და ცალკეული ქმედებების გლობალურ შედეგებს. ღონისძიებაზე მწვანე შეიხმა მოუწოდა ახალგაზრდებს ცხოვრებისკენ, რომელიც სცილდება მოკლევადიანი სარგებლის ფარგლებს, ხაზი გაუსვა მდგრად არჩევანს, პრიორიტეტი მიანიჭა პლანეტის სიჯანსაღსა და კეთილდღეობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ბატონმა აბდულმა სტუდენტებს მის მიერ განხორციელებულ

პროექტებზე მოუთხრო და ერთი ამბავი გაიხსენა: მამაჩემი არის ბაზიერი. ათასობით შევარდენი ჰყავს განვრთვნილი. ერთხელ მასთან ერთად წავედი სანადიროდ. მამაჩემს ვთხოვე, შევარდენი მოეცა ჩემთვის. მან უარი მითხრა. მე მიინდა, რომ შენ გახდე შევარდენი – მითხრა მან. ეს ნიშნავს, რომ შენ თავისუფალი იქნები ნებისმიერი მონობისგან. ეს ამბავი ჩემთვის არის სიმბოლური, თავად შევარდენია სიმბოლო. ახალგაზრდებო, ცაში ადით და ილივლივით.

ბატონმა აბდულმა ისაუბრა 2016 წლიდან დაწყებული პარტნიორობის კამპანიაზე. პლანეტას ზუსტად ისე უნდა მოვუხროთ, როგორც ჩვენს ბაღს. დავეხმაროთ პლანეტას, იყოს ჯანსაღი და გვექონდეს ფაქიზი და მოკიდებულია დედამიწის მი-



ადრე, ქარხანაში მუშაობის დროს, ვაბინძურებდით გარემოს. გარემოს დამაბინძურებლადან გარემოს დამცველი გავხდით. რატომ შევიცვალეთ? იმიტომ, რომ მიინდა იყოს უკეთესობა. ჩემი ღირებულებები მართვა და დაცვა გახდა. დიდი ძალა, რაც

დაგვემოსთხოვს ღონისძიების შესახებ: აქ მონაწილე ეს ახალგაზრდები არიან ჩვენი პლანეტის ელჩები. მათ უნდა ილაპარაკონ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ პრობლემებზე. ვერ შეძლებთ იმუშაო მარტო. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. ახალგაზრდებო, უნდა დაამსხვრიოთ კომფორტის ზონა. როგორც კი კომფორტის ზონიდან გამოდის, იცვლება აზროვნება. იფიქრეთ თქვენს ქვეყანაზე, სხეებზე, როგორ გადავრჩეთ ერთად. ბევრი ადამიანის გადადგმული პატარა ნაბიჯები ბევრ განსხვავებას მოგვცემს.

ღონისძიების დასრულების შემდეგ ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ განხილულ საკითხს სხვა კუთხით შეხედეს. სტუდენტთა მხრიდან დაისვა არაერთი კითხვა.

დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა მადლობა გადაუხადა „მწვანე შეიხს“ – აბდულ აზიზ ალ ნუაიმს და ორგანიზატორებს სტუდენტებთან მეტად საინტერესო და აუცილებელი თემის წამოწევისთვის. აღნიშნა, რომ შეიხის განვლილი გზა, მისი გამოცდილება წარმოგვიდგება, როგორც მკაფიო მაგალითი მთლიანობისა, პირველი ზრდისა და ლიდერობისა უკეთესი მომავლისთვის ზრუნვის გზაზე.

ლიკა ზაზაშვილი



მასხუმს, ჯერ კიდევ გასულ წელს, როგორ მკაცრად ვამბობდი, რომ აღარასდროს წავიდოდი არქეოლოგიურ გათხრებზე. არც ისტორიკოსი ვარ, არც არქეოლოგი; თურმე, როგორ ვცდებოდი...

როგორც კი გავიგე, რომ საზაფხულო არქეოლოგიური სკოლა გიუმრში ისევ ტარდება, სულმოუთქმელად ველოდებოდი, როდის მოვიდოდა 1-ლი ივლისი და საზღვარს როდის გადავკვეთავდი.

ერთკვირიანი საერთაშორისო საზაფხულო არქეოლოგიური სკოლა, როგორც მელმაც არამხოლოდ ისტორიკოსების, ფილოლოგების გულიც კი დაიპყრო. მეორედ ვიყავი და ძალიან მეამაყებოდა ეგ ამბავი.

ჯერ კიდევ გასულ წელს ვიყავი ჩემი სამშობლოს, საქართველოს წარმომადგენელი ჩემს ისტორიულ სამშობლოში, სომხეთში. როგორი პასუხისმგებელიანი საკითხია, არა?!

იმდენად პროდუქტიული დღეები გავატარეთ, არ ვიცო, ერთ წერილში როგორ ჩავტოვო ეს ამბები, თან ისე, სრულად რომ გადმოვცე ის ატმოსფერო. დილა, მზე, სიცხე, უზომოდ დიდი აღმართი და აი, იქ ვართ, სადაც 5 საათის განმავლობაში

გათხრები უნდა ჩავატაროთ. ოხ, როგორი ემოციები იყო პირველი ობსიდუანი და სამაჯურის ნაწილი რომ ვიპოვეთ, ალბათ, მთელმა სოფელმა გაიგო ჩვენი ბედნიერების ხმები. ყოველი დილა ერთნაირად იწყებოდა: მზე, სიცხე და უზარმაზარი აღმართი, მაგრამ დასასრული ყველას განსაკუთრებული და განსხვავებული ჰქონდა. მინდვრიდან დაბრუნებული, დაღლილებს, მოდუნების უფლება არ გვექონდა, რადგან წინ საინტერესო ამბები გველოდებოდა. საღამოობით თეორიული ლექციები გვითარდებოდა, ხან არქეოლოგიაზე, ხან

რამდენიმე პრაქტიკული გაკვეთილი, სადაც ვისწავლეთ ობსიდუანისგან იარაღების დამზადება, გავცინით საუკუნეების წინ ცეცხლის დანთებისა და ბრინჯაოს დადნობის მეთოდს. ბრინჯაოს ხანაში აღმოვჩნდით ნამიერად. არქეოლოგიამ მოგვითხრო ის, თუ როგორ უნდა იზრუნო შენს სამშობლოზე და რაოდენ უნდა გიყვარდეს იგი. დაგვანახა, როგორი მნიშვნელოვანია თითოეული მცირე დეტალი, ვინაიდან კერამიკის თითოეულ პატარა ნატეხს რომ პოულობ და ნელ-ნელა ერთმანეთზე ალაგებ, უფრო მისახვედ-

ძალიან ბევრი უნდა ვიმორომოთ და ვიბრძოლოთ!

უი, ის არ უნდა გამომჩეს, რომ სასწაულად ღამაში და ჰარმონიით სავსე გიუმრის ექსკურსიებიც გვექონდა. საღამო, სიმშვიდე, სასწაული არქიტექტურა, გიუმრის ულამაზესი ქუჩები, თან ისეთი, თითოეულ კუთხეს რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულად. კედლები თვითონ გვიყვებოდნენ თავიანთ ნარსულს. ოჰ, თურმე რამდენ ამბავს იტევს თითოეული ქვა. ტაბიძე „მე და ღამეში“ ამბობდა: „რა იცინა მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული...“ ზუსტად ასე – ჩვენ არ ვი-

სხუდნბთა გაართლუალი მოავლის საფუძვლი

ნიცხა ამბობდა: ნუ იფიქრებთ ბევრს გადწყვეტილების მისაღებად. ასე თქვენ შეიქმნით ისეთ პირობებს, რომლებიც თავიდან არც კი არსებობდნენ. სწორედ, ეს ციტატა იყო ჩემი მოტივაცია, ჩამეზარებინა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და არ წავსულიყავი ჩემი ქალაქიდან შორს.

მე გახლავართ ისტორიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი. ახალციხის მუნიციპალიტეტის მეექვსე საჯარო სკოლა დავამთავრე. ისტორიის სიყვარული სკოლის პედაგოგის დამსახურებაა, რომელმაც შემაყვარა როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ისტორია. მადლობა მას ამისთვის.

თავს მომავალში ვხედავ, თუ როგორ შევაყვარებ პატარა ბავშვებს ისტორიას.

მინდა, წარმატებული მასწავლებელი გავხდე. ჩემს მომავალ გეგმებს დაუთმობ მოგზაურობას და საქართველოს ისტორიის გაზიარებას სხვა ქვეყნებთან. ასევე, ჩვენი ქვეყნის ისტორიის საფუძველზე, მინდა ვანარმოო საერთაშორისო ურთიერთობები.

რაც შეეხება ჩვენს უნივერსიტეტს, ისეთი გარემოა, რომ აქაურობა უკვე მეორე სახლად მიმაჩნია. ბედნიერი ვარ, რომ ავირჩიე ეს უნივერსიტეტი. ლექტორები არიან ძალიან მეგობრულები და სტუდენტებთან აქვთ საკმაოდ გულთბილი დამოკიდებულება. ეს კი



განპირობებულია ერთმანეთისადმი უდიდესი პატივისცემით.

დამეთანხმებით, პირველი კურსის სტუდენტობა არც ისე მარტივია, გვიჭირს ადაპტაცია და გარემო ფაქტორებთან მოგება. მაგრამ უნივერსიტეტი ყოველნაირად გვინცობს ხელს, რომ თავი მაქსიმალურად კომფორტულად გვამჩნევს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოლოდინები გამართლდა და მოვხვედი ისეთ ადგილას, სადაც ყველა მამჩნევს, ყველა ყურადღებით უსმენს ჩემს საუბარს – იქნება ეს კითხვა თუ პასუხი. მინდა ჩემს თავს და ყველა პირველ კურსელს ვუსურვო წარმატება და მჯერა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ძალიან გამართლებული მომავალი ექნება.

მარიამ გუგუშვილი
ისტორიის
სპეციალობის პირველი
კურსის სტუდენტი

ჩვენ, გიუმრი და ის, რაც არქეოლოგია მოგვითხრო



ანთროპოლოგიაზე. ხანდახან დროშიც ვმოგზაურობდით, იფიქრებთ, ალბათ – როგორ... გარდა თეორიული ლექციებისა და უშუალოდ გათხრებისა, სხვადასხვა იარაღების დამზადების საშუალებაც გვექონდა. არქეოლოგი ბენ გარდანიანი თეორიული ინფორმაციით გვამდიდრებდა და ამ ყველაფერს ავსებდა არქეოლოგი ივან სემიანი. მან ჩავგვტარა

რი ხდება, თუ წლებისწინ ის რისი ნაწილი იყო – დოქის, თეფშის თუ რაიმე სხვის. თან მხოლოდ დოქზე ხომ არაა ასე. ვფიქრობ, ცხოვრებაც ანალოგიურადაა აწყობილი, თითოეულ პატარა დეტალს მისი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს. ფარულად ისიც გავგვიმხილა არქეოლოგიამ, რომ დანებებისთვის არ ვართ დაბადებული, წარმატებისათვის

ცოდით, თუ რამდენ ამბავს იტევდნენ ის კედლები და ქუჩები. აი, ასე დავუბრუნდით ჩვენს სამშობლოს, კიდევ ნასკლის იმედით.

ასეთი იყო სომხურ-ქართული მეგობრობისა და გიუმრში გატარებული ერთი სასწაული კვირის ამბები!

მარსენიკ პარტახიანი
ინგლისური
ფილოლოგიის
კურსდამთავრებული

ერთი ავტორის გვარდი

მეცნიერებად დიდი ხნით ადრე ვემზადებოდით ამ დღისთვის, თუმცა, ამაში ბოლომდე არათუ ერთმანეთს, საკუთარ თავსაც ვერ ვუტყდებოდით. ჩვენ ეს ვიცოდით.

30 ივლისის მზიანი დილა გათენებულიყო, ცაზე ფთილა ღრუბლების კანტიკუნტი განლაგება თუ მიიპყრობდა ყურადღებას. სამყარო დუმდა, ერთი შეხედვით არც ზეცაში და არც მიწაზე მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა. გულდაძიმებული ადამიანები სადღაც მიიქრობდნენ, მძიმე ყოფა და ფიქრისგან დაღლილი თავი არ აძლევდათ მოსვენებისა და მშვიდად ყოფნის უფლებას. მათ ფონზე მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა იყო ისეთი, რომელიც ჟრიაშულითა და სასიამოვნო ისტორიის გახსენებით ცდილობდა მიღწევარებისა და შფოთვის დამალვას.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე

კორპუსის საკონფერენციო დარბაზში ახალგაზრდები აფხაზ თანამემამულეებთან შესახვედრად ემზადებოდნენ. ბოლომდე გაცნობიერება უჭირდათ, რას ნიშნავდა ეს დღე მათთვის, მათ ცხოვრებაში, თუმცა,

ისინი ბაჩიბაზს არ აპირებენ!...

სულ მალე დადგებოდა ის ნაწილი წუთები, რომელიც სიტყვით გადმოუცემელი იყო.

კარი ფართოდ გაიღო, აუდიტორიაში რექტორი მაკა ბერიძე შემოვიდა, მოვიდნენო, მხოლოდ ეს გვითხრა და ჩვენთვის ყველაფერი უკვე გასაგებიცა და ნათელიც გახდა, გული ისე გულეში აღარ ჩერდებოდა, ავფორიქდით, რამდენი ვემზადეთ და თურმე ბოლომდე მაინც არ ვყოფილვართ მზად, ან

კი შეიძლება ოდესმე ასეთი რამისთვის იყო მზად? არ ვიცი...

შეხვედრა დაიწყო, რიგრიგობით ვუსმენდით გამომსვლეს და გონების კუნჭულში დაბადებული კითხვის სწორად დალაგებას ვცდილობდით, მა-

თი მოსმენის შემდეგ ჩვენი ჯერი იყო, კითხვები დაგვესვა.

მოსმენილით გავოგნდით, მათ კიდევ უფრო ახლოს მიგვიყვანეს აფხაზეთთან და ჩვენთვის აქამდე უცნობი რეალობა დაგვანახეს, უსიტყვოდ გავუგეთ ერთმანეთს, შეგვიყვარდა, იმედი გაგვიჩნდა.

შეხვედრა ბოლოსკენ წავიდა... დანაკლისს ვგრძნობდით, კიდევ უფრო მეტი სჭირდებოდა ჩვენს სულს, სიმშვიდე ბო-

ლომდე ვერ მოეპოვებინა, ვდუმდით, არავის გვინდოდა ბოლო სიტყვა გვეთქვა და ყველაფერი დაგვემთავრებინა... აკადემიური წრის შემდეგ ჯერი ისევ ჩვენზე, სტუდენტებზე დადგა, რექტორმა ბოლო სიტყვის თქმის საშუალება მოგვცა, ბოლო გამომსვლელმაც გადაიხადა მადლობა, ახლა? ახლა რა იქნება? ასე უბრალოდ უნდა დავემშვიდობოთ ერთმანეთს, თითქმის ეს ამდენი ცრემლი საერთოდ არ ყოფილა? არც ეს ღიმილი და ანთებული თვალები?

გული კიდევ უფრო დაგვიძიმდა, განშორება ძნელი ყოფილა, სიტყვებს ვეძებდით, თუმცა, გვისხლტებოდა. დავდუმდით. უსიტყვოდ ვუსმენდით

ერთმანეთს. შეხების გარეშე ვეზუტებოდით ერთმანეთს.

სიტყვები ზედმეტი იყო, სხეულის შეხებაც ზედმეტი იყო, სულმა სული იცნო და დამთავრდა, აქ უკვე ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო, ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, ჩვენ ერთენაზე შეგვეძლო საუბარი, კვლავ გადავიკვეთეთ, ისევ გავუგეთ და მოვუსმინეთ ერთმანეთს. უტოპიაში არ გადავვარდნილვართ, თუმცა, ვერც უიმედობამ დაგვრია ხელი.

30 ივლისის გვიან საღამოს ცაზე ერთი ღრუბელიც აღარ იყო, სამყარო კვლავ დუმდა, ადამიანებიც ისევ სევდამორევით დაიარებოდნენ ქუჩებში. მხოლოდ სამოციოდე ადამიანის გულში დაენყო სისხლს ახლებურად მოძრაობა. მათ უკვე დაებრუნებინათ ერთმანეთი, ახლა უფრო დიდი, უფრო მასშტაბური გზისკენ სვლა იყო საჭირო. ისინი გაჩერებას არ აპირებდნენ!...



მისი სახელი და გვარი სტუდენტობის პერიოდშივე ჩაინერა საუნივერსიტეტო ცხოვრების დიდ ნივთში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იმ ატმოსფეროსთან განშორება, რომელიც მის კედლებში სუფევს, რთული აღმოჩნდა, მან აქ საკუთარი ადგილი, პიროვნება, გზა და მიმართულება იპოვნა.

16 სექტემბერს ეზო პირველკურსელების ჟრიაშულითა და სახალისო ისტორიებით აივსო. ჩვენი ნარკვევის გმირს – ნინო ზედგინიძეს ასეველიანებდა იმ გარემოსთან განშორება, რომელშიც ოთხი წლის განმავლობაში თითქმის ორჯერ შედგა ფეხი პირველად... სტუდენტობის დასაწყისი პანდემიას, კორონა ვირუსის შეზღუდვებსა და საერთო საზოგადოებრივ პანიკასთან გადაიკვეთა. პირველი ორი წელი დისტანციურ რეჟიმში მოუწია ნინოს, სხვების მსგავსად, სწავლა, რაც მეტწილად დიდ სირთულესთან, დისკომფორტსა და უსიამოვნო შეგრძნებებთან ასოცირდებოდა, მაგრამ მან შეძლო და არსებული სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენა, საკუთარ თავში იპოვნა ძალა, მეტი ესწავლა და დაენახა ის რესურსი, რომელიც სხვა მდგომარეობაში არ იარსებებდა.

„როდესაც მთელს მსოფლიოში კორონა, შენ ვერაფერს შეცვლი, მაგრამ მთელი დღე, სახლში ყოფნისას, შეგიძლია ახალი უნარები განივითარო. ჩემს გარშემო არსებული სიტუაცია გავაანალიზე და ამ ყველაფერზე მუშაობა დავიწყე, განვევითარე.“

ნინოს, აბიტურიენტობისას, მკაფიო წარმოდგენა არ ჰქონია სტუდენტობასა და იმ პროცესზე, რასაც ეს უკანასკნელი მოიაზრებდა. მომავალი პროფესია – ინგლისური ფილოლოგია, დედის რეკომენდაციით აირჩია. გადაწყვეტილება მთელი

ნინო ზედგინიძის მრავალფეროვანი და საინტერესო თავგადასავლები

სიცხადით გათავისებული არ ჰქონია, თუმცა, იცოდა, რომ მასში ბევრ დადებითს აღმოაჩენდა და მიღებული განათლება იმ სარგებელს მოუტანდა, რომელიც მნიშვნელოვანწილად გაუმარტივებდა ყოველდღიურ ცხოვრებასა და ცხოვრების მთავარი მიზნის მიღწევის პროცესს.

ორი წლის განმავლობაში ჩაკეტილ სივრცეში, სახლში, ოთახის ოთხ კედელში მყოფი ლურჯი ეკრანის წინ იჯდა და ამგვარად ისმენდა ლექციებს, ასეთსავე გარემოში უნევდა სემინარების ჩაბარება, მაგრამ მიუხედავად ასეთი დაბრკოლებისა და სირთულისა, კვალიფიციური, გამოცდილი, მცოდნე და პროფესიონალი ლექტორების დახმარებით, მარტივად იპოვნა გზა და დღეს, წლების წინ გაკეთებული არჩევანით, ძალიან ბედნიერია, ამაცობს, რომ ამ უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, ამაცობს მიღებული გამოცდილებით და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამაცობს იმ ურთიერთობით, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებთან ჩამოუყალიბდა.

ნინოს ცხოვრება ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს. პირველი ეტაპი 18 წლამდე, სჯსუ-ს სტუდენტობამდე, ხოლო მეორე სტუდენტობისა და ამ დიდი ოჯახის წევრობის შემდეგ იწყება, რომელიც მისი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. თავგადასავალი არ დამთავრებულა, იგი სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე გეგმავს.

მრავალფეროვანი და საინტერესო თავგადასავლებით სავსე იყო ბაკალავრიატის ოთხი წელი, თითქმის ბევრი რამ დამთავრდა და გაჰყვა წლებს, მაგრამ ერთი რამ არ იცვლება – უნივერსიტეტში ფეხის შედგმისთანავე უამრავ მომღიმარ და მოცინარ სახეს ხედავს. ესალმება ნაცნობ ლექტორებს, სტუდენტ თანატოლებს, რექტორსა და დეკანს, ადამიანებს, ვინც მისი ცხოვრება კიდევ უფრო მეტი ნათელი ფერით აავსო და ბევრი ისეთი მოგონება შექმნა, რომელსაც ნებისმიერ სიტუაციასა თუ გარემოებაში დიდი ენთუზიაზმით უზიარებს გარშემო მყოფებს.

მიუხედავად იმისა, რომ სიახლეებისკენ სწრაფვა სკოლის პერიოდიდანვე ხიზლავდა, ახალი მანტიის მორგება ამ ყველაფერს ახალი ელფერი შესძინა, საუნივერსიტეტო ცხოვრებამ არაერთი ფარდა განია გვერდით.

მესამე კურსზე იყო ნინო, როდესაც შესაძლებლობების ახალი ფანჯარა და ის სივრცე გაიხსნა, რომელზეც წლების წინ არც კი იოცნებებდა. მისი ამბავი ასეთია – საქართველოს მასშტაბით სულ

ოთხი წარმატებული სტუდენტი უნდა შერჩეულიყო ამერიკაში გასამგზავრებად, ახალი ცოდნის მიღებისა და გამოცდილების დაგროვებისთვის. ოთხი ახალგაზრდიდან ორი სჯსუ-ს სტუდენტი იყო, მათ შორის ერთ-ერთი ნინო ზედგინიძე. სიამაყითა და განუზომელი ბედნიერებით ისაუბრა იმ უნარებსა და ცოდნაზე, რომელიც დაეხმარა სრულიად უცხო ხალხსა და ქვეყანაში კომუნიკაცია უპრობლემოდ, მცირედი სირთულის გარეშე დაემყარებინა. ამერიკაში ყოფნისას მას ურთიერთობა არც მასპინძელ ოჯახთან და არც თანამშრომლებთან დაეჭირვებია.

ვკითხე, ყველაზე მეტად რა მოგწონს შენს პროფესიაში-მეთქი. გამორჩეულად სასიამოვნოა, როდესაც სხვა ენა თავისუფლად გესმის, საუბრობ, ფილმებს უყურებ და კითხულობ. მართლაც, მისი ცხოვრებაც ისეთივე მრავალფეროვანი და წახნაგოვანია, როგორც ლიტერატურა, რომელსაც ბავშვობიდან ასე გულმოდგინედ კითხულობს.

„უნივერსიტეტი საკუთარი თავის პოვნაშიც დამეხმარა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებაც. 18 წლის მერე ჩემს მიღწევებში უნივერსიტეტს დიდი როლი აქვს.“

ნინო, ამჟამად, სახელმწიფო სტაჟირების პროგრამით „იუსტიციის სახლში“



მუშაობს. სიხარულით შენიშნა, ვაკანსია უნივერსიტეტის გვერდზე ვნახე, აქაც, ამ წარმატებაშიც ურევია უნივერსიტეტის ხელი. ორი წლის განმავლობაში რამდენჯერმე იყო სომხეთსა და თურქეთში, სადაც დააგროვა ახალი გამოცდილება, შეიძინა ღირებულებები, გადააფასა ბევრი რამ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაიღრმავა საკუთარი თავის რწმენა.

უბრალო, მაგრამ არა – ჩვეულებრივი, მარტივი, მაგრამ არა – პრამატული, გახსნილი, მაგრამ არა – შაბლონური, წარმატებული, მაგრამ არა – ხელოვნური...

ამ ყველა ზემოაღნიშნულთან ერთად, კიდევ არაერთი საინტერესო ეპითეტით შეიძლება ნინო ზედგინიძის დახასიათება, რადგან ის არის გოგონა, რომელმაც მოინდომა, იბრძოლა და შეძლო.

იგი თავის უმცროს დას უზიარებს მიღებულ გამოცდილებას, რჩევებს, რეკომენდაციებსა და იმ აუცილებელ დეტალებს, რომელიც მის სტუდენტურ ცხოვრებას უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის. ოთხი წლის განმავლობაში შეიძინა მეგობრები, აღმოაჩინა ადამიანები, ვისაც მანამდეც ცნობდა, მაგრამ არ იცნობდა.

„ჩემთვის გასაოცარი გამოცდილება იყო ამ ქვეყნებში მოგზაურობა. საკუთარ თავს დაეპირდი, რომ ისევ წავალ სომხეთშიც და თურქეთშიც. მინდა, ის ემოციები კიდევ ერთხელ გამოვცადო, რომელიც არასდროს მტოვებს, მიუხედავად დიდი დროის გასვლისა.“

ნინოს სწამს უნივერსიტეტის, მისი მეორე სახლის, ცოდნის კერის, ტაძრის, სიმშვიდისა და თავისუფლების იმ ადგილის, რომელმაც მას არაერთხელ ალუძრა საკუთარი თავის პატივსაცემად და სიყვარული. ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტზე მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ დაანახა, თუ რაოდენ ახლობელია მისთვის მასწავლებლობა და რაოდენ დიდი ბედნიერება მოაქვს უმცროსი თაობის წარმომადგენლებთან ურთიერთობას.

ბევრის მსგავსად, მასაც მოუწია იმ სტერეოტიპული თუ სამწუხარო შეფასებისა და დამოკიდებულების ატანა, რაც, როგორც წესი, თან ახლავს არჩეული უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის გაფიქრებას. მიუხედავად მთელი რიგი კრიტიკისა, ნინომ არ შეცვალა გადწყვეტილება, ბოლომდე მიჰყვა თავის გზას და დღეს სრული პასუხისმგებლობით, ბედნიერებითა და სიხარულით უზიარებს სხვებს საკუთარი გამოცდილებისა და იმ უნიკალური თავგადასავლის შესახებ, რომელიც 2020 წლიდან ტრიალებს მის თავს.

ნინო მომავალი მაგისტრი, მასწავლებელი და ლექტორია. ლექტორობას მშობლიურ უნივერსიტეტში აპირებს, რადგან მისთვის აქაური კედლებიცა და აქ მყოფი ხალხიც შეუცვლელია.

„საღამოს პირზე, როცა ხალხი გარეთ გადის პარკში სასიეროდ, მე ჩემს მეგობრებთან ერთად უნივერსიტეტის ქუჩაზე დავდიოდი და ეზოში ვისვენებდი. მინდოდა, მათთვის მეთქვა, სად ვსწავლობდი; მე ეს ყველაფერი მსიამოვნებდა. როდესაც უნივერსიტეტში ვარ, თავს მშვიდად ვგრძნობ. მოვიდივარ და ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, სად რა არის. ვიცი, რომ აქ შემიძლია თავი დაცულად ვიგრძნო.“

ნატალია პარდიძე



– გააცანით მკითხველს შოთა ტიტვინიძე. გვიამბეთ თქვენი ცხოვრების, მიზნებისა და მისწრაფებების შესახებ.

– მე გახლავართ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეხუთე კურსის სტუდენტი. ვმუშაობ სასტუმრო „ლომსიაში“ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში. ჩემი მიზანია, ვიყო ადამიანი, ვისი იმედიც ჩემ გარშემო მყოფებს ექნებათ. ყველაზე დიდი მისწრაფება თითოეული ადამიანის უნდა იყოს ადამიანად ყოფნა, ეს კი თავის მხრივ ურთიერთგაგებას, მოყვასისადმი სიყვარულს, პატივისცემასა და დახმარებას გულისხმობს. ამასთან, ვფიქრობ, როგორც პედაგოგი, შევძლებ რამდენიმე ადამიანის ცხოვრება მაინც შევცვალო უკეთესობისკენ და დავეხმარო მათ საკუთარი მიზნების მიღწევაში.

– გაიხსენეთ თქვენი ცხოვრების ყველაზე რთულად გადასალახი დაბრკოლება და მოუყევით ჩვენს მკითხველს, რა არის თქვენი მოტივაცია ასეთ დროს.

– ჩემი ცხოვრების ყველაზე რთულ დაბრკოლებას ჯერ კიდევ ბავშვობაში გადავანყედი. დედის ავადმყოფობის გამო, მამამ 5 წლისა ბავშვთა სახლში მიმაბარა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი იმედები მქონდა სახლში დაბრუნების, ორ წელში დედის გარდაცვალებამ ყველაფერი სხვაგვარად წარმართა და 21 წლამდე მინდობით აღზრდის პროგრამით სხვადასხვა ადამიანის ოჯახში გავატარე. ყველაზე რთული პერიოდიც და დიდი გამოცდილებაც უკავშირდება ამ წლებს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით ახალდაბადებულმა შვიდწლიანად-ნახევარმა ირინა და მარინა ლომიძის ოჯახში, რომლებმაც თავი არ დაზოგეს, ერთი გზააბნეული ბავშვისთვის ნათელი მომავალი ეჩუქე-

ბინათ. ისინი დღემდე მიდგანან გვერდში და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ახლა აქ ვარ.

– შოთა, სიყვარული არის...

– სიყვარული არის ძალა, რომელიც სიცოცხლის სურ-

გოგოლადის მიერ ჩემი პირველი ნაბიჯების „ნახალისება“ პოეზიაში, ლექსებზე უთუოდ ავიღებდი ხელს და კვლავინდებურად მხოლოდ დღიურის ან ჩანახატების წერას გავაგრძელებდი. ერთი გულითადი მსმენელიც კი საკმარისი ხდება ხოლმე იმისთვის, რომ წერა არ შეწყვიტო, ხოლო მათ მიერ მცირედი პროგრესის შემჩნევის აღნიშვნა ახალი სიცოცხლით, ენერგიითა და შემართებით გავსებს.

– გამორჩეულად სხვაა გულწრფელი პასუხები... რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი იმედი, შოთა?

– მუდმივი განცდა იმისა, რომ მარტო არ ვარ, ჩემთვის ლოცულობენ და დღემუდამ მმფარველობენ. არასდროს მიფიქრია, რომ ილბლიანი ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ

– მოგეხსენებათ, პედაგოგების ოჯახში გავიზარდე, მაგრამ პედაგოგობაზე არასდროს მოცინებია, არც კი მიფიქრია, მაგრამ ყოველთვის მომწონდა, როცა ვინმეს ჩემს ცოდნას ვუზიარებდი. მათემატიკაში განსაკუთრებით ძლიერი ვიყავი და მეგობრებისთვის რაიმეს ახსნა განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას მეცხრიდა. ერთ დღესაც ირინამ და მარინა ლომიძემ სწორედ ეს პროფესია შემომთავაზეს და ჩემი დაყოლიებაც რამდენიმე დღეში შეძლეს. ყველაზე მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი სწორედ ამ პერიოდში გააზრებული პედაგოგის საქმიანობის გააზრება იყო – აილო პასუხისმგებლობა სხვა ადამიანების მომავლის ფორმირებაზე. მიუხედავად ასეთი დიდი გადაწყვეტილების მიღებისა, ჩემი ფაკულტეტის გამჟღავ-

მაყით გამომეცხადებინა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე ვსწავლობ. თუ მკითხავთ როდისმე გიფიქრიათ თუ არა ფაკულტეტის შეცვლაზე, გიპასუხებთ: არა, არასდროს!

– შოთა, ერთი სურვილი რომ გქონდეს, რომელიც აუცილებლად ასრულდება, ინატრებდი...

– არაფერს. ყოველივე ისე მიდის, როგორც წესია და როგორადაც ამას ღმერთი უშვებს. ვფიქრობ, ხშირად ჩვენი დამაბრკოლებელი სწორედ რომ სურვილია, რომლის ასრულების შემდეგაც ვიზრებთ, რომ ჩვენ ის არ გვჭირდებოდა, ბედნიერი გავმხდარიყავით.

– შოთა, განათლება არის...

– თუ ადამიანს წისქვილად წარმოვიდგენთ, მაშინ განათლება სწორედ წყლის ის ნაკადია, რომელიც მას ამუშავებს და ღირებულებას მატებს. შესაძლოა კითხვა დაგებადოთ – თუ წყლის დიდი ნაკადი მოაწყდება წისქვილს, ხომ შეიძლება ის წყობიდან გამოიყვანოს ანუ გამოდის, განათლება შესაძლოა საზიანოც იყოს ადამიანისთვის. მოგეხსენებათ, ახალი ინფორმაციისა თუ ძველი გამოცდილების გადაცემის პროცესი უნდა იყოს ასაკის შესაბამისი, სწორედ ამიტომ დიდ წისქვილს მცირედი წყლის ნაკადით ვერ ამუშავებთ.

– აღწერეთ თქვენი პროვინება ერთი სიტყვით ან ფრაზით.

– ვფიქრობ, ჩემი განვლილი ცხოვრებიდან ყველაზე მეტად „სადაც ნახვალ, იქაური ქუდი დაიხურე“ შემეფერება და ახლა სწორედ იმ ეტაპზე ვარ, როცა საკუთარი ქუდი მახურავს.

– უღრმესი მადლობა, შოთა, გულახდილი პასუხებისთვის. გისურვებთ, ყველა ჩანაფიქრი გაგმართლებოდეთ და დაუფინყარი თავგადასავლებით იყოს სავსე თქვენი ცხოვრება.

– დიდი მადლობა.

ინტერვიუერი
რიმა სულაძე

სიცოცხლის გულითადი მეგობარი

„ახლა სწორედ იმ ეტაპზე ვარ, როცა საკუთარი ქუდი მახურავს“



ვილითა და სამყაროს მშვენიერების აღქმით გვეკვებავს.

– ჩვენ ვიცით, რომ წერ ლექსებს და ზოგიერთი მათგანი სამეცნიერო ჟურნალ „არაფშიცა“ დაბეჭდილი. გვიამბეთ შოთას პოეტურ პიროვნებაზე – როდის და რატომ დაიწყოთ ლექსის წერა.

– შოთას პოეტური პიროვნება რომანტიზმის ხილზე გადის. როგორც ყოველ პოეტს, ხელში კალამი მეც სიყვარულმა ამაღებინა და შემოქმედებით გზაზე დამაყენა, თუმცა, საკუთარ თავს ამ ეტაპზე პოეტს ვერ ვუწოდებ. მიუხედავად ლექსის თემისა, იქნება ეს სიყვარულზე, სამშობლოზე, ღმერთზე, ოჯახზე თუ სხვა თემაზე, წერის მოტივი მაინც სევდაში, ტკივილში ან მონატრებაში იმალება. აღსანიშნავია, თუ არა ნაირა

ოჯახში გამიმართლა, სადაც კი მოვხვდი.

– ახლა კარიერაზეც ვისაუბროთ. რატომ აირჩიეთ ეს პროფესია და როგორია პედაგოგი შოთას მომავალი?

ნების მაინც მერიდებოდა, რადგან კლასში „შოთა მას“ გავხვდი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და საკმარისი აღმოჩნდა, პირველივე კურსი თავანეულს დიდი სია-



თეატრი



– მოგესალმებით, ქალბატონო მანანა. უპირველესად, უდიდეს მადლობას გიხდით, რომ გამოჩნხეთ დრო და დაგვთანხმდით ინტერვიუ. მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი აღფრთოვანება და მონივნება თქვენი საოცარი სამსახიობო ოსტატობისადმი. როგორ დაიწყო თქვენი სამსახიობო კარიერა?

– მოგესალმებით. დიდი მადლობა, რომ დაინტერესდით ჩემი შემოქმედებითა და მოღვაწეობით. 1987 წელს, საკმაოდ წარმატებით, რეჟისორ შალვა განერელიასთან დავამთავრე თეატრალური უნივერსიტეტი, შემდეგ დავბრუნდი მესხეთში. მქონდა საშუალება, დავრჩენილიყავი თბილისში, მაგრამ ჩემს მესხეთს ვერ ვუღალატე, ძალიან კარგი თეატრი გვაქვს, მსახიობად მუშაობა აქ გავაგრძელებ. ჩემი დებიუტი შედგა როლით, რომელზეც, ალბათ, ყველა მსახიობი ოცნებობს, საკმაოდ სერიოზული განაცხადი იყო – ჟან ანუის „ანტიგონე“. ეს არის ინტელექტუალური დრამა და თუ მსახიობი სათანადოდ არ არის მომზადებული, შესაბამისი სკოლა არ აქვს გავლილი, ძალიან რთულია. 20 წლისამ ვითამაშე ეს როლი; რეჟისორი ბატონი ზურაბ სიხარულიძე იყო. იგი გარდაცვლილია, თუმცა, მე დღესაც მადლობელი ვარ მისი, ასეთი საპასუხისმგებლო როლი რომ მომინდოდა.

– ბავშვობიდანვე გრძნობდით სწრაფვასა და სიყვარულს მსახიობობისადმი?

– მიუხედავად იმისა, რომ ძალიან აქტიური ბავშვი ვიყავი, სულ ვმღეროდი და ქუჩაში სპექტაკლებს ვატარებდი, თავიდანვე მსახიობობაზე არ ვფიქრობდი. ჩემი პროფესია ერთმა გარდამტეხმა მომენტმა განაპირობა – მეათე კლასში ვიყავი, როდესაც სკოლაში გვიტოვებენ, რომ 14 იანვარს (ქართული თეატრის დღეს) უნდა დაგვედგა წარმოდგენა, სადაც სხვადასხვა მსახიობს გავაჯვრებდით და როლს თავად ავირჩევდით. მე ქალბატონი ლია სულუაშვილის სპექტაკლის „ხაზოს“ როლი ავირჩიე, ციკანკა ქალი იყო. როცა ღონისძიება დავამთავრეთ, ქალბატონმა ლიამ დამიბარა და მითხრა, შენგან ძალიან კარგი მსახიობი დადგება. ამ სიტყვებმა იმდენად იმოქმედა, რომ თეატრალურის გარდა სხვა რამის გაკონება აღარ მინდოდა. მანამდე იურისტობასა და უცხო ენებზე ვფიქრობდი. გამიმართლა, რომ უდიდეს მსახიობებთან მომიწინა მუშაობა და მსახიობი გავხდი.

– გამოგიტყდებოდა – „მზიან ღამეში“ თქვენს პერსონაჟზე ცრემლების შეკავება ვერ შეძელი... როგორ იღებთ ვიერგას, რომ ამდენად რეალური იყო სცენაზე?

– იცით, მართალია, როცა ამბობენ, რომ არ არსებობს დიდი და პატარა როლები, მთავარია, როგორ შეასრულებ. მე მიყვარს როლები, რომლითაც მაყურებელს თავს დაამახსოვრებ. შეიძლება ორი საათი იდგე სცენაზე და ეს ვერ შეძლო. როდესაც პროფესიონალი ხარ, მთელ სულსა და გულს დებ, ეს თავისთავად მოდის, ჩვენ ამით ვცხოვრობთ. იმ გმირის ტკივილი თუ არ გავიზარე, თუ არ განვიცადე და არ ვიგრძენი, ამას ვერ განვაცდევინებ მაყურებელს. თუ გმირით იცხოვრებ, ტკივილიც თავის-

თავად მოდის, რაც გადადის მაყურებელზე და შემდგომ ის უდიდეს სიბოძასა და ენერგეტიკას გიბრუნებს უკან.

– რას ნიშნავს თქვენთვის სცენა, რა გრძნობაა, როდესაც სცენაზე დგახართ?

– მსახიობი მრავალმხრივ განვითარებულია. ჩვენ სცენაზე გასვლისას ერთ სიცოცხლეს ვამთავრებთ. ყოველ როლს შიშით ვუყურებ. არავინ არ უნდა თქვას: „ძალიან მაგარი მსახიობი ვარ და გამომივა“. სცენა ისეთი რამ არის, რომ შეიძლება უცებ აგამალოს და უცებვე დაგცეს. როლს ყოველთვის სიფრთხილით ვუდგები, საკუთარ თავს ვეუბნები – მანანა, შენი თამაშა არ დაგდო, ის შედეგი დადე, რასაც ელოდება მაყურებელი. თქვენ რომ ნახოთ, რამდენად სწრაფად ძველს ჩვენი გული სცენაზე გასვლამდე, მკითხავთ, ასე განიცდი? სცენაზე გასვლისას სცენიური თავისუფლება მოდის. თუ მსახიობი არ არის თავისუფალი, შემოქმედება ვერ შედეგება. არ უნდა იფიქრო ტექსტსა და მოძრაობაზე, ეს ყველაფერი თავისთავად მოვა. თუ გულწრფელი და მართალი არ ხარ, მაყურებელი არ გამოგყვება, ის ამას გრძნობს. როდესაც ნამდვილი ხარ, სულ იქნები პოპულარული,

ნაზე გასვლისას სცენიური თავისუფლება მოდის. თუ მსახიობი არ არის თავისუფალი, შემოქმედება ვერ შედეგება. არ უნდა იფიქრო ტექსტსა და მოძრაობაზე, ეს ყველაფერი თავისთავად მოვა. თუ გულწრფელი და მართალი არ ხარ, მაყურებელი არ გამოგყვება, ის ამას გრძნობს. როდესაც ნამდვილი ხარ, სულ იქნები პოპულარული,

ნაზე გასვლისას სცენიური თავისუფლება მოდის. თუ მსახიობი არ არის თავისუფალი, შემოქმედება ვერ შედეგება. არ უნდა იფიქრო ტექსტსა და მოძრაობაზე, ეს ყველაფერი თავისთავად მოვა. თუ გულწრფელი და მართალი არ ხარ, მაყურებელი არ გამოგყვება, ის ამას გრძნობს. როდესაც ნამდვილი ხარ, სულ იქნები პოპულარული,

„არ არსებოვს დიდი და პატარა როლები“

თუნდაც ბოროტი როლი ითამაშო, მიგიღებენ. ფედერეო გარსია ლორკას „სისხლიან ქორწილში“ სიკვდილს ვითამაშობდი, თუმცა, მე ის გავამართლე, უარყოფითი პერსონაჟი იყო, მაგრამ გავამართლე.

– მსახიობობის მთავარი სიღრმე რაში მდგომარეობს?

– უპირველესად ის, რომ ჩვენ თავისუფლები ვართ. ძალიან კარგად ვგრძნობთ მუსიკას, სხეულს, საუკუნეს, ეპოქას, ვიცით ეტიკეტი. ვიცით, როგორი იყო საზოგადოება მე-18-19 საუკუნეში. მსახიობს ძალიან დიდი განათლება სჭირდება. ეს პროფესია მრავალი სფეროს სინთეზია. მსახიობი ძალიან განათლებული უნდა იყოს.

– რომელ ემოციას გამოხატავს მაყურებელი ყველაზე ხშირად?

– ბევრჯერ უკითხავთ, რატომ არ დავრჩი თბილისში, მაგრამ როდესაც გავივლი ქუჩაში, ჩემს მესხეთში, იმდენ სიბოძასა და სიყვარულს ვგრძნობ, რომ ბედნიერი ვარ... დიდი მადლობა ჩემს მაყურებელს, ყველა ძალიან მიყვარს!

– ახლახან „გაუგებრობაში“ ითამაშეთ პერსონაჟი, რომელიც ბევრი ადამიანის პროტეკტორია. რა პროცესს გადიხართ, სანამ საბოლოოდ შექმნით პროტეგტს?

– გარდა იმისა, რომ ჩვენ ვქმნით ხასიათს, ჩვენ რეჟისორზე ვართ დამოკიდებული, ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული. ჩემი პერსონაჟი ქალბატონი, რომელიც მწერალია, ამასთან რამდენიმე წიგნის თანაავტორი, ნამდვილი ადამიანებისგან შეიქმნა. ბაზარში სიარული მიყვარს, თუმცა, იქ არაფერს ვყიდულობ. მე იქ ვაკვირდები, როგორ დადიან ადამიანები; 80-90 წლის ქალის უამრავი როლი მაქვს ნათამაშები, სულ ვცდილობ, ვიყო ნამდვილი, მაგრამ არა მისგავსებული. სახე უნდა დაიბადოს ფანტაზიისა და რეალობის თანხვედრით. ალბათ, დაინახეთ თქვენც – ვინც როგორ უნდა თამაშობდეს, კრიტიკულ მომენტში ყველაში ჭარბობს ემოცია და ერთხანად ვხდებით. ასეთ დროს ყველა ადამიანია.

– პერსონაჟებში „მანანა ბერიძე“ დიდი დოზითაა თუ იგი ფარდის მიღმა რჩება?

– ნებისმიერ სპექტაკლში არის მანანა ბერიძე, არავინ თქვას, სრულიად განსხვავებული ვარო. ყველგან არის ფანტაზია და მანანა ბერიძის საფორტალი, თავის ცუდითა და კარგით.

– ამ პროფესიისთვის ყველაზე ავთენტური და სახასიათო ნიშა რა არის?

– იცით, ყოველთვის მაქვს ეს სიზმარი – გავდივარ სცენაზე და ტექსტი არ მახსოვს, დამაინყდა...

მაგრამ მერე მეღვიძება და ვამბობ, როგორი დიდი ბედნიერებაა, რომ სიზმარია და ტექსტი არ დამეინყება. საიდუმლოს გავიმხელთ, როდესაც ძალიან ცუდად ვარ, „ანტიგონესა“ და სხვა პერსონაჟების ტექსტებს ვიმეორებ, ტვინს ვაძლევ საშუალებას, სხვა რამეზე იფიქროს, დარდი არ მოუშვას ჩემამდე. ვიმეორებ ტექსტებს და მთელ ემოციას ამაში ვდებ, ძალიან მეხმარება. ხშირად, ქუჩაში სიარულისას, როცა როლზე ვფიქრობ და თვალი სხვაგან გამიზნის, მცნობენ და მეუბნებიან, მანანა, ცუდად ხომ არ ხარო? ვფიქრობ როლზე და სახე სხვანაირად მეჭმუხნება. ეს არის მსახიობობა, ბევრი ფიქრი გვაქვს...

– მრავალწლიანი კარიერის შემდეგ, გამოარჩევდით რომელიმე როლს?

– ყველა როლი მიყვარს... მცირედიც კი, არ აქვს მნიშვნელობა, მთავარი იყო თუ მეორეხარისხოვანი, კომედია იყო თუ დრამა... რომელი თითქმის არ უნდა მომაჭრათ, მეტკინება. ყველა როლი ჩემი ტკივილი და სიხარულია, ყველა მიყვარს.

– დროსთან ერთად, ხარისხის გააზრებისადმი დამოკიდებულება იცვლება?

– შეიძლება მესხეთის თეატრს დიდი პიარი არ ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ ძალიან მაღალი დონის სპექტაკლები გვაქვს. მუდამ გვაქვს

იქ შემიძლია ვთქვა ის, რასაც სხვანაირად ვერ ვიტყვი. ვინც მატერიალურ კუთხეს ირჩევს, ველარ ბრუნდება, როგორც მსახიობი, იკარგება. მე თუ წავედი თეატრიდან, ჩათვალეთ, რომ ერთი მსახიობი აღარ იქნება, ჩემი სხივი ჩაქრება. ბავშვებთან გადაგოგორება საქმიანობამაც იმოქმედა, მათგან იმდენ რამეს ვსწავლობ, იმდენს ვიღებ... ვგრძნობ, როგორც პედაგოგი, მნიშვნელოვანი ვარ. მათგან წამოსული სიკეთე მაინცეებს იმ სიბოროტეს, რომელიც სამყაროშია. ალბათ, იმიტომ ვრჩები, რომ უკეთესობის იმედი მაქვს. მსახიობს არ უნდა შიოდეს, არ უნდა ფიქრობდეს – ვაიმე, შვილს რა ვაჭამო. ენთუზიაზმით არ გამოიკვეთება შვილი. მე რეჟისორმა მითხრა, მანანა, შენ არ უნდა გათხოვდე, შენი ცხოვრება უნდა მესწირო თეატრს. ადრე ასე იყვნენ. ვინაობა, თუმცა, როდესაც საქმე ოჯახზე მიდგება, ის გაძლავს, ბავშვს ვერ ეტყვი, პაერთი გამოიკვეთ. თუ გვიჩნდება, ლალები ვიყოთ, საჭიროა ანაზღაურება და შესაბამისი დაფასება.

– მსახიობის სცენიურ თავისუფლებას მაყურებელი გრძნობს?

– გრძნობს. მაყურებელი სცენაზე პაუზებს გრძნობს, სიტყვიდან სიტყვამდე ის ვიყურებს, ვაკვირდება. მაყურებელს ვერაფერს გაზიარებ. თეატრი იმიტომ არის საინტერესო, რომ იმ წუთას იბადე-

ბა, კინოში რამდენიმე დუბლს იღებენ და უკეთესს არჩევენ, თეატრი მართალია. ბევრი რამ მოქმედებს და ეს ჩანს, იგრძნობა.

– გქონიათ პერიოდი, როცა თეატრი არ იყო თქვენს ცხოვრებაში?

– ერთხელ მქონდა ოჯახური პრობლემა... ეს იმდენად დიდი ტრავმა იყო ჩემთვის, რომ ქუჩაში გამოსვლა მიჭირდა, არ მინდოდა ხალხთან ურთიერთობა. ბოლოს ერთმა სიტყვამ მომცა ძალა – თავი აწიე თამამად და გამოდი... სახლიდან გამოვედი და თეატრმა გადამარჩინა.

როდესაც თეატრში ვესხე შემოვდამდი, სულ სხვა მანანა ვიყავი, როლზე მუშაობისას ცუდზე ვერ ვფიქრობდი, მაგრამ გარეთ გასვლისთანავე მატყდებოდა ტრაგედია. ძალიან დამეხმარა თეატრი.

ერთი ასეთი ისტორია მინდა მოგიყვებოდა: რთული პერიოდი მქონდა, იმდენად სტრესული, რომ ვატყობდი, სპექტაკლის ტექსტი მაინც დავივიწყე, არ იყო დიდი, მაგრამ არ შემიძლო. ხანდახან ბინდი გადაეკვრება მსახი-

ობს თვალზე და არ იცის, რა თქვას... სპექტაკლში „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“ ლალის ვითამაშობდი, ორი მსახიობი ვიყავით განათლებული. მოკარნახეს ვთხოვე, თუ დამჭირდა ერთი სიტყვა მიკარნახე, გამახსენდება-მეთქი. მაყურებელი ვერ ხედავდა, ისე დავაყვედი დეკორაციასთან მოკარნახე. სპექტაკლისას უცებ პარტნიორი რალაცას მეუბნება და ვერ ვპასუხობ, გავდივარ, გამოვდივარ დეკორაციასთან, რამდენიმე წამი გრძელდება ეს, თუმცა, მგონია ნახევარი საათი გავიდა, მას დაავიწყდა, რა უთხრა მანანა ბერიძემ, სხვასთან საუბრობს. მოვიდა დრო, უნდა გავიდე სცენიდან და უცებ გამახსენდა, რა უნდა ვთქვა... მაყურებელი ვერ მიხვდა, რა მოხდა, მაგრამ მე ერთი სიკვდილით მოვკვდი, ვავათამაშე კარგად ნერვიულობის სცენა, მაგრამ სულ ოფლიანი ვიყავი.

– როლზე მუშაობისას სხვა „მანანა ბერიძე“ ხდებით და იცვლებოდა?

– დიას, როლზე მუშაობისას ოჯახის წევრებმა იცინა, რომ მე ზედმეტად არ უნდა დავიტივროთ, არ უნდა შემიწონო, ყოფით თემაზე

არ უნდა დამელაპარაკონ. არ უნდა შემანუხონ, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ძლიერი დატვირთვა მაქვს, როდესაც მსუბუქი როლი მაქვს, მაშინ არა. ფიზიკურად არ ვისვენებ, მაგრამ გონებრივად ბოლომდე როლის ირგვლივ ვტრიალებ.

– თანამედროვე სამსახიობო სფეროში ღირებულებები შეიცვალა?

– არ მინდა, ცუდად გამოვიყენებ, თუმცა, ვფიქრობ, რომ დიას, ახლა ფორმას უფრო ეძებენ, ვიდრე მინაგანს. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ჩემი პედაგოგები იყვნენ ისეთი ძლიერი რეჟისორები, როგორებიც არიან ოთარ ბალათური და შალვა განერელია. ამავე პერიოდში მქონდა კავშირი ისეთი დიდი რეჟისორების შემოქმედებასთან, როგორებიც არიან გიზო ჟორდანი, მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა და თემურ ჩხეიძე. მე მათ სპექტაკლებზე, შემოქმედებაზე გავიზარდე. მსახიობს უნდა ეაზროვნა და თავისუფალი ყოფილიყო, მან გმირის ბიოგრაფია უნდა შექმნას, უნდა იცოდეს, პერსონაჟი საიდან მოდის, რატომ ამბობს, რას გრძნობს, ეს მხოლოდ თვითონ უნდა იცოდეს, სხვამ ვერ უნდა გაიგოს. ახლა რეჟისორი ფორმას ეძებს, საიდან უფრო ეფექტური იქნება გამოსვლა, ტექსტის დაზეპირებაზე არიან ორიენტირებული. ტექსტი თავისთავად დიზაინდება, მთავარია იცოდეს, რა უნდა გააკეთო, ემოცია უნდა გქონდეს. ტექსტის თქმა არ არის საკმარისი, აზროვნება მთავარი. ტექსტს ყველა იტყვის, აზროვნება პაუზაშია. ვიღაც მხოლოდ ტექსტს კითხულობს და მორჩა, მაგრამ თქვენ ჩემი განწყობა და ემოცია გაინტერესებთ. ვისურვებდი, ცოტა უფრო მეტად იყოს აზროვნება.

– სცენაზე მსახიობის ოსტატობა რით განისაზღვრება?

– ამბობენ, პირველი მსახიობის ვიზუალი ჩანს სცენაზე, მე კი ყოველთვის მაშინებს, როდესაც მეუბნებიან, ლამაზი იყავიო. მე მინდა მითხრან – როგორი ვიყავი, როგორ ვითამაშე. როდესაც გეტყვიან, რომ ძალიან ლამაზი ხარ, ეს ნიშნავს, რომ როლზე კი არა, ფიზიკურზე გუუბნებიან. როდესაც მსახიობი კარგად თამაშობს, როგორი ვიზუალის მქონეც უნდა იყოს, ის აუცილებლად ამაღლდება შენს თვალში. შეიძლება ფიზიკურად ნაკლებად დახვეწილი ადამიანი ვითამაშო, მაგრამ ისეთი სულიერებითა და სიკეთით, იტყვი – სულ არ მინდა შენი სილამაზე, ის მითხარი, რა ადამიანი ხარო. თვალი ჭამს, თუმცა, ჯერ მაინც ადამიანობა და სიკეთეა. მირჩენია, გავცე, დავიჩარო და უკან ვერ მივიღო, ვიდრე პირიქით.

– კარიერის განმავლობაში მიღებულ ჯილდოებს შორის რომელს გამოყოფდით?

– 2012-2013 წლებში, ქვეყნის მასშტაბით, ავიღე პრიზი მეორე პლანის საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვის აგრეთვე, უკრაინაში საერთაშორისო ფესტივალზე მოვიპოვე „სცენის ოსტატის“ ნომრება/ჯილდო. მაქვს აღებული გრანპრი სპექტაკლში „მე მინდა გავხდე კნეინა“. დაჯილდოებული ვარ „ლირსების მედლით“.

– გაქვთ საოცნებო როლი ან სცენა?

– იცით, როგორ არის? სხვანაირად ვითამაშებდი ჟან კოკტოს „ადამიანის ხმაში“, „ანტიგონეს“... ახალგაზრდა ცოტა ენთუზიაზმზე დგას, გამოცდილებას ჩვენს პროფესიაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ გადასახედიდან მგონია, რომ სხვანაირად ვითამაშებდი. რასაც კი მივიღებ, ჩემთვის ყველა როლი საოცნებოა და პროფესიონალურად ვითამაშებდი.

ინტერვიუერი
ნატალია პარდიძე

რედაქტორი	მისამართი
მარიანა ჯაფელაშვილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის 113
რედაქტორები:	
ლიკა ზაზაშვილი, რიმა სულაძე, თამარ კოჩი, იური ბალახაძე, ნატალია პარდიძე, მარსენა პარსიანი, თინაზიზ მელიქიძე	
ტელ.: (+995) 22 890 400 191	
ტელ.: 599 25 25 68	
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge	